

# გიორგობის მადლი გფარავდეთ!


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 22 ნოემბერი, 2014 წელი.

№237 (7617)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ამბავი ნაციონალთა აგიტატორის ცრემლისა

② ისევ რატომ ეტირებოდა მთელი გასული კვირა იგნატოვას ქალს?..



© ცოდვილთა გალერეა

③

## ჩასაფრებული ნადირის ქინით

## გაღიზიანებული დათვი გზაჯვარედინზე

⑤



④



## ლორიგარქია საქართველოში

⑥

## ირაკლი სესიაშვილი: მეტი კითხვა ალასანიასთან მაქვს

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# ვისგან დაიმსახურა მადლობა ლევან იზორიამ

### ძალადობის პრევენციის ეროვნული გეგმის სამუშაო ვერსია მზადაა

**მომავალ წელს ძალადობის პრევენციის ეროვნული გეგმა ოფიციალურ დოკუმენტად იქცევა, ხოლო იქამდე, რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად ამ სტრატეგიის სამუშაო ვერსია უკვე მზადაა. ძალადობის პრევენციის სტრატეგია შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ გუშინ, სასტუმრო „რედისონში“ სამოქალაქო სექტორს წარუდგინა განსახილველად, რომელსაც საკმაოდ დადებითი შეფასებები მოჰყვა.**

კონფლიქტოლოგი **ნინო ციხისთავი** ამბობს, რომ **„ეს არ არის ქვედარგოლში მომზადებული დოკუმენტი, არამედ მასზე საკმაოდ აქტიურად და პერსონალურად იმუშავა ბატონმა ლევანმა. მადლობა ასეთი კომპეტენციისთვის მინისტრის მოადგილეს!“**, — აღნიშნა მან.

ღონისძიება მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ნინო კობახიძემ გახსნა, ხოლო დოკუმენტი თავად მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა. რამდენიმე კვირით ადრე, ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა გაიმართა. მთავრობა მზად არის, შეიქმნას უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომლის სამდივნოს ფუნქციას ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტი შეასრულებს.

### რას ითვალისწინებს სამოქმედო გეგმა?

**სანამ** მინისტრის მოადგილე სამოქმედო ვერსიას წარმოადგენდა, ისაუბრა იმ მიზეზებზე, რამაც გაახშირა ძალადობა საზოგადოებაში და რის გამოც საჩქაროც კი გახდა პრევენციული ღონისძიებების დასახვა. ამ ჩამონათვალში მოხვდა საშინაო და საგარეო გამოწვევები, რომელიც 20 წლის განმავლობაში დაატყდა ქვეყანას, სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები, განსაკუთრებით უმუშევრობა (შესაბამისად უსახსრობა), რომელიც ძირითადად კონფლიქტის უპირველესი წარმომშობია. როგორც იზორია ამბობს, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაზე „ავტორიტეტები“ ცუდ გავლენას ახდენდნენ, თუმცა, ამის საპირწონედ 2003 წლის შემდეგ დანერგილმა „ნულოვანმა ტოლერანტობამ“ ძალადობრივი სახელმწიფო შექმნა. 2012 წლის პოლიტიკურმა ცვლილებებმა მიდგომებიც უნდა შეცვალოს. **„მართალია, სახელმწიფოს სტრატეგია ძალადობასთან და დანაშაულთან ბრძოლის პრევენციული მექანიზმის დანერგვაა, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფო და პოლიცია ამას ვერ შეძლებს, თუ სამოქალაქო სექტორი და საზოგადოება არ გააქტიურდება, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ, — საბოლოო მიზანი კი ერთია — ჩამოყალიბდეს პასუხისმგებლიანი საზოგადოება და ე. წ. „გუდ გავერმენსი“, ანუ ხელისუფლება“.**

ძალადობის პრევენციის სფეროები ასე გადანაწილდა: ოჯახი, სკოლა, ქუჩა და უბნები.

რაც შეეხება ოჯახებს, სადაც, როგორც წესი, მაღალი ალბათობით, ყველაზე მეტად ხდება ძალადობა, უნდა გაიზარდოს უბნის ინსპექტორის როლი და რისკჯგუფებზე გამახვილდეს ყურადღება. განსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭებათ სოციალურ მუშაკებს და მათი მოქმედების სპეციფიკას. ეს ძალიან პრობლემური საკითხია, რადგან, როგორც სოცმუშაკთა ასოციაციის ხელმძღვანელი **ნათია ფირცხალაძე** აღნიშნავს, **„ამ დარგში პროფესიონალთა დეფიციტია. სულ რაღაც 10 წელიწადია, რაც ამ სფეროში აკადემიური კურსები შეიქმნა, მაგრამ ბაზრისთვის საჭირო ოდენობას ვერ აკმაყოფილებს. ასევე აუცილებელია ამ ადამიანებს გაეზარდოთ მოტივაცია და დაფინანსება“.**


იხ. 2 გვ.

## ⊙ ვითომ ისევ ბნელა?

# ამბავი ნაციონალთა აგიტატორის ცრემლისა

### ისევ რატომ ეტირებოდა მთელი გასული კვირა იგნატოვას ქალს?..

საკითხავი აი, ეს არის... თუმცა, ყველაფერს თავადვე ხსნის და თავისდა უნებურად ამჟამინდელ, ანუ „დღევანდელ სატირალ მდგომარეობას“ თავისივე მიერ ნაქები და ნადიდებელი „გუშინდელი სინამდვილის“ გაგრძელებად მიიჩნევს... ამიტომაც მოუნათლავს თავისი ბოლო უიქენდური სლუკუნი უკვე ერთხელ ჩვენს თავს გადახდენილი ცხრაწლიანი ჯოჯოხეთის გამომხატველი სახელ-სათაურით — „ისევ... ისევ...“

და დღევანდელობის ლანძღვათათხვის ერთადერთი მიზნით, როგორც იტყვიან, მიწაში დებს თვითონ სააკაშვილს, რომელიც იგნატოვას გულის მოსაკლავად „ისევ შორს არის და ნისლებში ქრება“...

და ბოლმიანი გულისთქმის გამოხატვის არასწორად არჩეულმა ფორმამ უკუშედეგამდე მიიყვანა ეს ნაციონალების პროპაგანდისტ-აგიტატორი... **„და როგორც ადრე, როგორც წლების მანძილზე,** — წერს იმათი ქეთუსია, — **ისევ გვატყუებენ და ისევ ვერ გვატყუებენ... ცდილობენ და ისევ არ გამოსდით. არავის არასოდეს გამოსვლია და ახლა ისევ არ გამოსდით.**

**ისევ ტყუილი, ისევ ღალატი, ინტრიგები, სიყალბე, სიბეცე და უზნეობა. ისევ ვერახდენილი ოცნებები, ისევ გაუფასურებული, დამახინჯებული ღირებულებები. ისევ დამსხვრეული იდეალები. ისევ გაცრუებული იმედი.**

**ისევ ტრაბახი. ისევ მაამებლობა. ისევ მონობა. ერთპიროვნული მონობა.**

**ისევ შიში. ისევ მუქარა, დაშინება, შანტაჟი.**

**ისევ ორმაგი სტანდარტები.**

**ისევ უსამართლობა. ისევ ვერდამკვიდრებული სამართლიანობა.**

**ისევ დაჭერები, შევარდნა, დაყადაღება, წართმევა, „შეწერვა“, დაკისრება“... ისევ შეთითხნილი საქმეები. ისევ პოლიტიზირებული, მართული და ზუსტად ისევე, როგორც ადრე, სრულად ნდობადაკარგული პროკურატურა, სამართალდამცავი ორგანოები.**

**ნელ-ნელა, ისევ „გაძაღლებული“ და მისადმი, ელემენტარული პატივისცემადაკარგული პოლიცია.**

**ციხეებში ისევ სასტიკად ნაწამები, ნაცემი, ჯაჭვებით დაბმული პატიმრები. ერთი უმნიშვნელო სხვაობა მაინც შეიმჩნევა — ადრე პატიმრებს ციხის თანამშრომლები აწამებდნენ, ცემდნენ, არაადამიანურ პირობებში ამყოფებდნენ. ახლა, წამება-ცემა-ტყეპაში ციხის ადმინისტრაციას, ციხის მაყურებლებიც, კანონიერი ქურდებიც დაემატნენ, დაეხმარნენ, შეეხიდენ. ციხეებში ისევე გაჩნდა ნარკოტიკი, ალკოჰოლი... პატიმართა ნაწილი, ისევ, ვერ უძლებს და კვდება, თავს იკლავს... სისტემა კი ისევ გავტყუებს და ისევ არ ვტყუვდებით.**

**ინსტიტუციები ისევ გაუფასურებული და ახლა უკვე, საერთოდ, გაშარჟებულ-გაგროტესკებულია. ომბუდსმენის ისევ არავის სჯერა, არავინ უსმენს, არავინ ითვალისწინებს, არავინ არაფრად აგდებს. პარლამენტის თავმჯდომარე ისევ საკუთარი სინდისის ტრაგიკომიკური პატიმარია. პრემიერ-მინისტრის გამოჩენაზე მთელი საქართველო გულიანად იცინის, ანსახიერებს, აშაყირებს და ისევ გადამდებად, მთელი გულით იცინის, ხარხარებს. პრეზიდენტზე კი ნახევარი იცინის და ნახევარიც კი, სიბრალულისგან გულამოსკვნილი ტირის.**

**პრემიერი ისევ ისე, აი, ზუსტად ისე, როგორც მანამდე, ცარიელ, ახალგაყვანილ ავტობანზე, ცენტრში, თეთრ ხაზზე, ზუსტად ისევე, ხელოვნურად შეყრილი, ინდიფერენტულ-გულაცრუებული ხალხის წინაშე, ისევ იმავე, საგანგებოდ მიტანილ ტრიბუნასთან დგას და ისევ ტყუის, ისევ ტრაბახობს, ისევ სხვის გაკეთებულს იწერს და ისევ ერთ და მხოლოდ ერთ ადამიანს ატყუებს და ისიც, მთელი დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებით, ისევ და ისევ ტყუვდება. ჩვენ კი ისევ ვიცინით.**

**სულ უფრო და უფრო ხშირად, ისევ კორუფციას ვეჯახებით, ვხედავთ. ახლა, უბრალოდ, ეგრეთ წოდებულ „ელიტკურ კორუფციას“, სრულიად არაელიტური, მდაბიო კორუფციაც შეემატა.**

**ისევ ყველას გვისმენენ, გვითვალთვალებენ, გვიღებენ და საჭიროების შემთხვევაში, ამით გვაშანტაჟებენ, გვაჩუმებენ, ან ისევ ცდილობენ, რომ გაგვაჩუმონ, გაგვტეხონ, გზიდან ჩამოგვიშორონ და ისევ, ვერა და ვერ გვაჩუმებენ.**

**მთავრობა, ხელისუფლება, მმართველი კოალიცია ისევ უუნარო და ვერაფრის მაქნისია. ცუდი, მანკიერი, გაუმართლებელი, უპატიებელი, ისევ ისე გრძელდება წარმატებული, ახალი, იმედისმომცემი კი არა და არ ჩანს, ადგილიდან არ იძვრის. ყოველთვიურ მაღალ ანაზღაურებას ისევ ელიან, ისევ იღებენ და მომავალ არჩევნებზე, დაუფასებენ. ისევ არ დაუკარგავენ. ოღონდ ისევ მისცეს! ოღონდ არ შეუწყვიტოს!..**

**საქართველო, ქართველი საზოგადოება, ისევ მორალური, პატრიოტული ფასეულობების, მიზნებისა და იდეალების კრიზისს განიცდის.**

**საქართველო, ქართველი საზოგადოება, ისევ ინტელექტუალური კატასტროფის წინაშეა. ისევ ბნელა.**

**„ისევ წვიმს, ისევ ცრის...“ ისევ ცრემლიანი, სევდიანი და ისევ აუნაზღაურებელი დანაკარგის ნოემბერია.**

**საქართველო კახა ბენდუქიძეს, ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე დიდ რეფორმატორს, განმანათლებელს, უმაგალითო ინტელექტის, ჭეშმარიტი ფასეულობების და უბრალოდ, განუმეორებელი ადამიანური ხიბლის მქონე პიროვნებას ემშვიდობება. ემშვიდობება და მის სტუდენტებთან, თანამებრძოლებთან, თანარეფორმატორებთან, თანამოაზრეებთან ერთად ტირის. ტირის პიროვნებას, რომლის ღვაწლი ქვეყნის მომავალ, ჯანსაღი თაობის წინაშე, არასდროს დაიკარგება, მივიწყებული არასდროს იქნება და ამავე დროს, ამავე ცრემლით, თითქოს, საკუთარ თავსაც ტირის. საქართველო, ქართველი საზოგადოება, კახა ბენდუქიძის გარეშე ხომ, თითქოს, უფრო ღარიბი, უინტერესო, პრიმიტიული, ერთფეროვანი... გახდა.**

**„ისევ წვიმს...“, მაგრამ ზუსტად ვიცი... თავისუფლებისა და იდეალებისთვის ბრძოლაში დაუღალავი სტუდენტების, ბენდუქიძის მიერ გაზრდილი სტუდენტების იმედი გვრჩება. კახა ბენდუქიძე, პირველ რიგში, მგონია, რომ მენტალიტეტის ფუნდამენტური რეფორმატორი იყო.**

**„ისევ წვიმს, ისევ ცრის...“ ნუთუ, ნოემბერი ჩვენს მაგივრად ტირის?**

**სტუდენტი დიდი ხანია, არ ვარ, არც მომავალი მაქვს, სამწუხაროდ, დიდი, მაგრამ მთელი გასული კვირა, ისევ სულ მეტირებოდა“.**

სააკაშვილის ავბედითი ხანის უკეთესად დახასიათება, ალბათ, შეუძლებელია!..მხოლოდ ერთს დავუმატებდი, ღმერთმა ნუ ქნას ოდესმე საქართველოს ვინმეს სიკვდილის გამო თავისი თავი ეტიროს, ღარიბი, უინტერესო, პრიმიტიული და ერთფეროვანი გამხდარიყოს. ეს რა შავმა ბოლმამ გათქმევინა, შე გააავებულო ქეთუსია! ან ის რამ გაფიქრებინა, რომ შენსავით არც ქვეყანას აქვს მომავალი?! რა იყო რამ გაგიტეხა აგრერიგად ეგ ძებნილი სააკაშ-



ვილის სიყვარულით პირთამდე სავსე, პოლიტიკურად პიტალო გული?!

ტირილი, როგორც სიცილი, ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა. ვერც ტირილს დაგიშლის ვინმე და ვერც სიცილს. მაგრამ საკითხავი მართლა ის არის, ნუთუ ისეთი რატომღაც ინგლისურენოვანი სახელწოდების ყოველკვირეული, როგორიც „უიქენდია“ (მთავარი რედაქტორი მაია ჭალაგანიძე), რომლის უპირველესი დანიშნულება პარასკევ საღამოდან ორშაბათ დილამდე ადამიანების გართობა და დასვენებაა, თავის ნაციონალ პროპაგანდისტ-აგიტატორებთან ერთად დღემდე ვერ მიხვდა, რომ დღეს უკვე საშინლად ამძაღებული პოლიტიკით თავი არ უნდა მოაბეზროს საზოგადოებას, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ უარი უთხრა ან, როგორც იტყვიან, ქვა მიაგორა ნაციონალებს, და ჭეშმარიტად დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა.

ნუთუ ინტელექტუალობაზე ესოდენ დიდი პრეტენზიის მქონე ქალს, შენი გაგებით გულახდილო ქეთუსია, იმის გაგება გიჭირს, რომ გუშინდელი მზე, რომელსაც ადამიანების გარკვეული ჯგუფი არცთუ უსარგებლოდ იყავით მიფიცხებული, დღეს სხვა ადამიანებისთვისაც ამოჩახჩახდა.

ამიტომ ისევ... და ისევ... ამაოდ ნუ მისტირი იმ გუშინდელს. ბევრად გიჯობს, დღევანდელობას შესცინო, რადგან ახლის მიმართ გაღიმება მჯერა, ბევრად უფრო მოგიხდებოდა და დროსაც აგრერიგად სამარცხვინოდ არ ჩამორჩებოდი.

**ისევ... და ისევ შენი**
**კეთილმოსურნე**
**გურამ წიკლაური**

## ⊙ წავიკითხოთ „კუკარაჩა“!

# ვისგან დაიმსახურა მადლობა ლევან იზორიამ

**(პირველი გვერდიდან)**

რეგიონებში ძალადობის პრევენციის უმთავრეს მექანიზმად მიიჩნევა თვითმმართველობები, რადგან მათი პრეროგატივაა სპორტული დარბაზებისა და მოედნების, კულტურულ-გასართობი ცენტრების მშენებლობა, განათებები, კამერების დამონტაჟება და სხვა. ანუ ყველა ის ღონისძიება, რომელიც ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესს დანერგავს...

რაც შეეხება საგანმანათლებლო სფეროს, ყველა ასაკის ბავშვისთვის უნდა შეიქმნს ადაპტირებული კურსი სამოქალაქო განათლებაში. მოზარდები ბაღებიდან უნდა დაეუფლონ, როგორ ჩამოყალიბდნენ ინდივიდებად, როგორ არ გაუჭირდეთ მათ კოლექტიური თანაცხოვრება, შეინარჩუნონ სიმშვიდე და გახდნენ კანონმორჩილი მოქალაქეები. ამავე მიმართულებით იგეგმება ფსიქოლოგის ინსტიტუტის ეფექტიანი ამოქმედება, მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სადაც უკვე ყურადღება გამახვილდება მოძალადის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე. ბაღებსა და სკოლებში კი უნდა მოხდეს სპეციალურად შემუშავებული პროგრამის საფუძველზე განწყობისა და უნარების ჩამოყალიბება. პედაგოგი, მანდატური, სოციალური მუშაკი, უბნის ინსპექტორი, ფსიქოლოგი და თავრობო უწყება ერთობლივად მუშაობს: შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო და განათლების სამინისტრო.

**ირაკლი კაკაბაძემ** გააპროტესტა ის ფაქტი, რომ სტრატეგიული გეგმის განხილვას განათლების მინისტრი არ ესწრებოდა (აღმოჩნდა, რომ ამ შეხვედრის პარალელურად მინისტრი განათლების 10-წლიანი გეგმის სტრატეგიის პრეზენტაციას მართავდა). **„ბოლო ორი ათეული წელიწადია ქვეყანაში ძალადობა ისწავლება. განათლების სისტემა ძალადობის აგიტაციაზე არ არის დაფუძნებული? სკოლაში კულტურული ძალადობა ისწავლება: შენ კაცი ხარ და ფული უნდა იშოვო. ქალს რა უნდა საჭესთან და ა. შ. — ასეთ ფრაზებს ყოველდღიურად გაიგონებთ, ანუ ჩვენთან კლასიკური შოვინიზმის ჩვეულებრივი ფორმების ტირაჟირება ხდება“, —** დასძინა მან.

არასამთავრობოთა ინტერესის საგანი აღმოჩნდა ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობა. ამ ცალკეულ ასპექტზე სამსჯელოდ 25 ნოემბერს კვლავ შეიკრიბებიან და დისკუსია გაიმართება. ასევე ძალადობის აშკარა გამოვლინებებია „ლგბტ“ — ფენაში, რომლის დაცვაც სამოქმედო გეგმაში უნდა გაიწეროს, — მიიჩნევენ ისინი.

* * *

**ჩემი აზრით, ის, რასაც ძალადობის პრევენციის სტრატეგიული**



ამასთანავე რელიგიური ინსტიტუტები — კომპლექსურად ჩაერთვებიან საზოგადოების ფორმირების პროცესში.

### რა შენიშვნები აქვს არასამთავრობო სექტორს?

**ლევან იზორიამ** ძალადობის შემცირებასთან ეფექტიანი ბრძოლის შესაძლებლობა იწინასწარმეტყველა და მაგალითად რეცეპტების სისტემის დანერგვით გამოწვეული დადებითი შედეგი მოიტანა. ე. წ. „კრაკადილების“ მოხმარება 90 პროცენტით შემცირდა, რადგან რეცეპტების სისტემამ ნარკოტიკებზე ხელმისაწვდომობა პრობლემური გახადა, — აღნიშნა მან. ძალადობის პრევენციის პროექტზეც რამდენიმე სამ**გეგმა ჰქვია და რაზეც ამხელა ადამიანური და ფინანსური რესურსი დაიხარჯა და დაიხარჯება კიდეც, მოკლედ, ლამაზად, მაღალმხატვრულად, ესთეტიურად და შთამბეჭდავად ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩაშია“ გადმოცემული. სამწუხაროდ, თაობები წიგნს დაშორდნენ და შორდებიან კიდეც, ალბათ, ამიტომაც იმატა ძალადობამ. ლევან იზორიას საპრეზენტაციო სლაიდში ასევე მოხვდა: ნარკომანია, ლოთობა, კომპიუტერი... რომელიც სულაც არ ახდენს კარგ ზეგავლენას ადამიანებზე.**

**ძალადობის პრევენციის სამოქმედო გეგმა, როგორც აღვნიშნეთ, სულ მალე აუცილებელ დოკუმენტად იქცევა, რომელიც ეთნიკური რეგიონებისთვის ყველა ენაზე დაიბეჭდება.**

**თეა მოსია**

## ⊙ ინფორმაცია

# ერთი წელია, მოსამართლის კანდიდატურაზე ვერ შეთანხმდნენ

**წელიწადზე მეტია, რაც საქართველოს პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ ადგილზე ახალ მოსამართლეს ვერ ამტკიცებს, რითაც კანონი ირღვევა. არსებული ინფორმაციით, მიზეზი მმართველ უმრავლესობაში მოსამართლის კანდიდატურაზე შეუთანხმებლობაა.**

**საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა წევრიდან სამს პარლამენტი, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს. სწორედ პარლამენტის კვოტით იყო არჩეული მოსამართლე ვახტანგ გვარამია, რომელსაც 10-წლიანი უფლებამოსილება ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში ამოეწურა. პარლამენტი კანონის გათვალისწინებით, ვალდებული იყო, გვარამიას შემცვლელი ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე ან ამოწურვიდან მაქსიმუმ ათ დღეში აერჩია, რაც არ მომხდარა და ერთი ადგილი საკონსტიტუციო სასამართლოში დღემდე ვაკანტურად რჩება.**

**როგორც პარლამენტში ამბობენ, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის არჩევის საკითხი „გაჭედილია“ არა ტექნიკური მიზეზებით, არამედ იმის გამო, რომ უმრავლესობა კანდიდატურაზე ვერ შეთანხმდა. აღნიშნულ თემაზე მმართველი გუნდის ლიდერთა შორის იყო კონსულტაციები, კონკრეტული კანდიდატურებიც დასახელდა, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ, ვისთვის დაეჭირათ მხარი.**

**„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ასარჩევი კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ათკაციან ჯგუფს, რომელიც არც ერთ ფრაქციაში არ შედის.**

ცოდვილთა გალერეა

# ჩასაფრებული ნადირის ჟინით

**ამ „ულამაზეს“ და „მადის აღმძვრელ“ არსებას ნადირის გვარი რომ არ ჰქონდეს და სიბინძურეში ჩაფლული ნაციონალების ამაოების საყვირი დღემუდამ პირში არ ჰქონდეს გაჩრილი, ერთ ჩემ ნაცნობ ნიგერიელ სტუმარს მივათხოვებდი და მზითვად ოციოდე გათახსირებულ პარლამენტარსაც გავატანდი.**



მეორე უძველესი პროფესია (მეძავობა-ჟურნალისტობას ვგულისხმობ), „რუსთავი-2“-ზე ისე კარგად დაამუღამა, ახლა პარლამენტში და სახელდახელო პრესკონფერენციებზეც ნამდვილ მოჩუხჩუხე საწამლავად „გადმოსდინდების“ და ნაციონალებისგან დღემდე გაძვალტყავებულ ქართველ ხალხს ნერვებს უშლის, ფსიქიკას ურევს და პირდაპირი გაგებით — გულს უხეთქავს!

ეს არამკითხე ყველაფრის ადვოკატი სიტყვითმკვლელ ნაციონალთა კასტას კარგა ხანია, სათავეში უდგას და გვარის და სანათესაოს სამარცხვინოდ, არამზადა, კაცისმკვლელი, თავხედი და ათას დანაშაულში მხილებულ-ბრალდებული მიშას დაკრულზე ცეკვავს.

აგერ, გუშინაც კიდევ ერთხელ ააშრიალა გველგესლა ენა და 800 000 პენსიონერი გადარია: **მინისტრებმა და მისმა მოადგილეებმა 2014 წლის 8 თვის განმავლობაში 3 მილიონ ლარზე მეტი მიიღეს, საიდანაც თითქმის ნახევარი პრემიებსა და დანამატებს შეადგენს... ამ თანხით პენსიების გაზრდა 200 ლარამდე შეიძლებოდაო!**

შე სუპერლამაზო და ბოლომდე მისაჭირხვნად მადის აღმძვრელო ირმა ნადირაშვილო! — რით ვერ შეიგნე, რომ უსაგნო ლაქლაქმა და ცოცხალმა ტყუილებმა შეიწირა შენი პარტია, შენი ფიურერი და მთელი ნაცმოძრაობა. გავიგეთ, რომ მინისტრები სოლიდურ ხელფასებსა და დანამატებს იღებენ (ამის გამო სასტიკად ვაკრიტიკებთ კიდეც!), მაგრამ ეს იმის მესამედიც არ არის, რასაც პირადად შენ იღებდი შვიდ ადგილზე გაფორმებული „დიდი ნაციონალი“, მებრძოლი ჟურნალისტი და დღეს უკვე მიშას ერთ-ერთი შემცვლელი ლიდერი — ამორძალი.

იმ პარტიის დედას შემოვევლე, რომლის ლიდერიც შენ იქნები!

ან მაგ „ბრძენი“ თავის რომელ უჯრედში დაიანგარიშე, რომ 3 მილიონით პენსიის 200 ლარამდე გაზრდა შეიძლებოდა?!

ერთი წლით 800 000 კაცის პენსია რომ 10 ლარით გაიზარდოს, მინიმუმ 96 მილიონი ლარია საჭირო!

ან ის ვინ ჩაგაგონა: ორ წელიწადზე მეტია, პენსია არ გაზრდილაო?!

მაშ ის რაღა იყო, 2013 წლის დასაწყისიდან 110-ლარიანი პენსია 150 ლარამდე რომ ამაღლდა?

რა თქმა უნდა, ესეც ძალიან ცოტაა, მაგრამ 2013 წლის ბოლომდე ისევ გიჟი ფიურერა მიხეილ სააკაშვილი იყო კოჰაბიტირებული პრეზიდენტი და ქვეყნის ბიუჯეტი კუდის რიკამდე გაფცქვნა... ახლა კი ღარიბი ბიჭი თითქმის ყოველდღე დაფრინავს ამერიკასა და ევროპას შორის! სიცრუის გასაღებაში, აშკარად ანტისახელმწიფოებრივ პიარში კი ბიუჯეტიდან მოტეხილ მილიონებს ხარჯავს!

ისიც საინტერესოა, პირადად შენ რამდენს გიხდიან ნაცმოძრაობის შიდა პიარში? მიუმატე ეს თანხა საპარლამენტო ხელფას-პრემიას და სხვაზე მერე ილაპარაკე!

გუშინ მინისტრებმა დამაჯერებელი პასუხი გასცეს ხალხის გასაგიჟებლად გამიზნულ შენს სიყალბეს... პრემია-დანამატების პრობლემაც მალე მოწესრიგდება.

რახან დიაცი ხარ, მაინც გინდობენ, არადა, ნაცებს გეფიცები, ბოლომდე გასაწირი ხარ! ჩასაფრებული ნადირის ჟინით შეპყრობილი ქალი ქართველ ხალხს პარლამენტში აღარ სჭირდება!

**სპარტაკ ქოზულია**

## თამარ სანიკიძე ამბობს, რომ პრემიის სახით მხოლოდ 6 ათასი ლარი აიღო



**ამის შესახებ თამარ სანიკიძემ ნაციონალური მოძრაობის მიერ გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას განაცხადა, რომლის მიხედვითაც, თამარ სანიკიძემ პრემიის და დანამატის სახით 27 930 ლარი აიღო. როგორც თამარ სანიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, თუ ეტყოდნენ 27 930 ლარი რისგან შედგება, უფრო კონკრეტულად გასცემდა პასუხს.**

**„თუ საუბარია ხელფასზე და დანამატზე, მთავრობის დადგენილებით, ეს ყველა მინისტრს ერთნაირად ეძლევა“, — განაცხადა სანიკიძემ.**

**კითხვაზე, საუბარია იმაზე, რომ მან პრემიისა და დანამატის სახით 27 000 ლარზე მეტი აიღო, მინისტრმა განაცხადა — „ვერ გეტყვით, არ დამიანგარიშებია“. განათლების მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პრემიის სახით მან დაახლოებით 6000 ლარი აიღო და სხვა რაოდენობის პრემია არ აუღია.**

ალიანჩალიანი

## პრეზიდენტმა 121 მსჯავრდებული შეიწყალა



**როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აქედან 93 დღესვე დატოვებს საპატიმრო დაწესებულებას.**

**მისივე თქმით, 28 მსჯავრდებულს სასჯელი შეუმსუბუქდება.**

**121 მსჯავრდებულიდან 3 არის ქალბატონი და 3 მსჯავრდებული არის არასრულწლოვანი. სულ კომისიამ, რომელიც 14 და 15 ნოემბერს მუშაობდა, 752 მსჯავრდებულის საქმე განიხილა და მათგან 350 არსებითად განიხილა. სხვა საქმეები არ აკმაყოფილებდა არსებითი განხილვისთვის საკმარის კრიტერიუმებს.**

**შეწყალება შეეხო განზრახ მკვლელობის მუხლზე ერთ მსჯავრდებულსაც და მას სასჯელი გაუნახევრდა.**

**ზვიად ქორიძის ინფორმაციით, შეწყალების აქტი ნარკოტიკული სასჯელისთვის მსჯავრდებულებსაც შეეხოთ, თუმცა გასაღების ბრალდებით მსჯავრდებულები შეწყალებულთა შორის არ არიან.**

## ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მთავრობას მადლობას უხდის

**ამერიკის შეერთებული შტატები მადლობას უხდის საქართველოს მთავრობას სურვილისთვის, მხარი დაუჭიროს აშშ-ის ძალისხმევას გუანტანამოს ციხის დახურვასთან დაკავშირებით. ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.**



**„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს მთავრობასთან კოორდინირებულად ითანამშრომლა, რათა პატიმართა ტრანსფერი უსაფრთხოებისა და ადამიანური მოპყრობის ზომების შესაბამისად განხორციელდეს“, — ნათქვამია პენტაგონის განცხადებაში.**

**აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ცნობით, საქართველოში გუანტანამოს სამი პატიმრის — სალა მოჰამედ სალი ალ-დაბის, აბდელ ღაიბ აჰმად ჰაკიმისა და აბდულ ჰალიდ ალ-ბაიდანის გადაგზავნა განხორციელდა.**

**არსებული ინფორმაციით, სამივე მათგანი იემენიდანაა. გარდა საქართველოში გადმოგზავნილი სამი პატიმრისა, აშშ-ის ხელისუფლებამ ერთი იემენელი და ერთი ტუნისელი პატიმარი სლოვაკეთში გააგზავნა.**

**გუანტანამოს ციხე ოფიციალურად 2002 წლის იანვარში გაიხსნა სპეციალური პირებისთვის, რომლებიც მონაწილეობდნენ ტერორისტულ აქტებში ან ტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობაში ედებათ ბრალი.**

**2009 წლის 21 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ციხის დახურვის ბრძანებას ინაუგურაციის მეორე დღესვე მოაწერა ხელი. თუმცა, კონგრესის უარის გამო ციხის დახურვა ამ დრომდე არ მომხდარა.**

**გუანტანამოში ამ ეტაპზე 143 პატიმარი რჩება.**

## ბურჯანაძე კენ ვოლაკს შეხვდა




**„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, ნინო ბურჯანაძე NDI-ს სათავო ოფისის ხელმძღვანელს კენ ვოლაკს შეხვდა.**

**როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, შეხვედრის ინიციატორი კენ ვოლაკი იყო, რომელთანაც მას მრავალწლიანი ნაცნობობა აკავშირებს.**

**„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა შეხვედრის დასრულებისთანავე ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, შეხვედრა იყო ძალიან საინტერესო, საუბრის თემა შეეხო ქვეყანის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში არსებულ ვითარებას.**

**„გამოვხატე ჩემი პოზიცია იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოვლენებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა გახლდათ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხი. მე პრინციპულად გავუსვი ხაზი იმ გარემოებას, რომ საარჩევნო გარემო, პრაქტიკულად, არ შეცვლილა, „ქართულ ოცნებას“ არც ერთი მისი დაპირება არ შეუსრულებია ამ კუთხით. ქვეყანაში უნდა შეიცვალოს საარჩევნო გარემო, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოსახლეობამ აირჩიოს ის ძალა, ვისაც მართლა ენდობა“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.**

## ქართველ მეზღვაურებს ევროკავშირის 12 ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავ გემებზე შეუფერხებლად დასაქმების საშუალება მიეცათ



**ქართველ მეზღვაურებს შეუფერხებლად დასაქმების საშუალება ევროკავშირის 12 ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავ გემებზე მიეცათ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ეკონომიკის სამინისტროდან აცნობეს, დღეისათვის ქართველ მეზღვაურებს საშუალება აქვთ უკვე შეუფერხებლად დასაქმდნენ შემდეგი ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე: ბელგია, ლატვია, კვიპროსი, მალტა, საბერძნეთი, რუმინეთი, შვეიცარია, სლოვენია, დანია, ლიტვა, ესტონეთი და ესპანეთი.**

**„მას შემდეგ, რაც 2013 წლის 22 ნოემბერს ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საქართველოში გაცემულ მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარებას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა“ და ევროკავშირის 12 ქვეყნის საზღვაო ხელისუფლებას შორის გაფორმდა შესაბამისი მემორანდუმები — მეზღვაურთა სერტიფიკატების ორმხრივი აღიარების თაობაზე, რაც გულისხმობს პირველ რიგში, ორმხრივ თანამშრომლობას საზღვაო დარგში ხელმომწერ ქვეყნებს შორის და ამ სახელმწიფოთა ვალდებულებას, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაასაქმონ მეორე ხელმომწერი ქვეყნის მეზღვაურები მათი დროშის ქვეშ მცურავ გემებზე. მსგავსი შინაარსის მემომარდუმების გაფორმების მიზნით, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო კვლავ აგრძელებს ევროკავშირის ქვეყნების შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობას, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ქართველ მეზღვაურთა დასაქმების ზრდას“, — აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში.**

# ლორიგარქია საქართველოში

**ამ რამდენიმე ხნის წინათ „სრ“-ში გამოქვეყნდა ჩემი წერილი „ღორები“. იმის შემდეგ იმდენი ღორობა მოხდა საქართველოში, რომ ვფიქრობ, ჩვენში ეს მოვლენა უკვე პოლიტიკური მმართველობის არსებით ნიშნად იქცა. სულ ბოლო მოვლენა ამის აშკარა დასტურია: თავდაცვის სამინისტროს ყველაზე მაღალჩინოსნებს ოთხ მილიონზე მეტი ლარის გაფლანგვის ბრალდებას უყენებს პროკურატურა და თავდაცვის აწ უკვე ყოფილი მინისტრი უაპელაციოდ ადანაშაულებს პროკურატურას პოლიტიკურ (?) დევნაში.**

**ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენში სრულიად აშკარაა მმართველობის ახალი, უპრეცედენტო ფორმა — ლორიგარქია.**

იმისათვის, რაც ახლა უნდა ვთქვა, ბოდიშს ვუხდი ბიოლოგიურ ღორებს. მათზე აუგი არ მაქვს სათქმელი. ამჯერად სოციალურ ღორებზე უნდა ვილაპარაკო, რომელთა ღორობა ნამდვილ ღორებს არასოდეს აზრადაც არ მოუვათ. საწყალ ნამდვილ, ანუ ბიოლოგიურ ღორებს სხვა ოთხფეხებზე ცოტა მეტი მადა აქვთ, თორემ სოციალურ, ანუ ორფეხა ღორებთან შედარებით უმადობა სჭირთ, ნამდვილად.

რატომ დამჭირდა ამ მეტად სასარგებლო შინაური ცხოველის გახსენება და თანაც მათთვის ბოდიშის მოხდა? იმად, რომ ახლახან ადამიანთა ისეთი საქციელის მოწმენი გავხდით, რაც დიდად სცილდება ტრადიციული და არატრადიციული ზნეობის ყველა ნორმასა და წესს...



ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნების კვირაძალზე თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა, ანუ ხალხის რჩეულებმა, მათი უფლებამოსილების შეწყვეტამდე მოასწრეს და ხელფასების სამმაგი(!!) რაოდენობის პრემიები გამოიწერეს!

ჩვენი ხელისუფლებისაგან, ძველია ის თუ ახალი, ყველაფერს უნდა მოელოდე კაცი, მაგრამ ამგვარი ღორობა ნამეტანია, მაინც! როცა მოსახლეობა სულს ღაფავს, პენსიონერებს შუქისა და გაზის გადასახადებისათვის ძლივს ჰყოფნით უბადრუკი 150 ლარი (თუ, რა თქმა უნდა, ჯანმრთელები არიან და წამალი არ სჭირდებათ!), მათ მიერ არჩეული დეპუტატები კი სამიათასიანი ხელფასების სამმაგი რაოდენობის პრემიებს იწერენ, გაფიცებთ ყველაფერს, ღორობის გარდა რა ეწოდება ამას?

არა, შეიძლება უფრო უარესი სახელიც მოეძებნოს ამგვარ საქციელს, მაგრამ გაზეთში ამის გაცხადება არ ივარგებს, ისინი თუ არა, ჩვენ ხომ ხალხი ვართ მაინც.

ღორობა ღორობაა, მაგრამ ამ თავიანთი ღორობის გამართლება როგორ სცადა საკრებულოს... (ჰმ!) თავმჯდომარემ თუ იცით? იცით, აბა, რა! ვის არ დაამახსოვრდებოდა მისი ღრმად ინტელექტუალური (ჰო, ნიჭიერი!) ახსნა: ეს ამხელა პრემიები რომ დავირიგეთ, ჩვენთვის კი არ გვინდოდა, გაჭირვებულების დასახმარებლად ქველმოქმედებას ვაპირებდითო. ესეც არ იყოს, რა, არ გვეკუთვნის მაღალი პრემიები და ხელფასები, თუ რაო; რასაც ჩვენ თქვენს საკეთილდღეოდ თავწახრილები მუხლჩაუხრელად ვმუშაობთო...

არაფერსაც არ ვაჭარბებ და არც ვაშარჟებ. ზუსტად ასე თქვა იმ დედაგანათლებულმა და მამაცხონებულმა საღორის, უკაცრავად, საკრებულოს თავმჯდომარემ.

რას ეტყვი, დაამუნათებ და დატუქსავ, თუ ვინმეს კარგ საქციელზე მიუთითებ, მაგალითად? რომ გვითხრას, ჩვენზე მაღლამდგომმა მთავრობამ მოგვცა მაგალითიო? თავდაცვის მინისტრი რომ პრემიის სახით 80 000 ლარს ღებულობს, მისი ხელფასის რამდენი პროცენტია ესო, — რომ გვკითხოს, რას ვეტყვით მაშინ? ვეტყვით, რომ მომავალი დიდგორისა და ბასიანის ბრძოლებში გამარჯვებებისა და ნიკოფსიიდან დარუბანდამდე საქართველოს საზღვრების გაფართოებისათვის მიიღო ავანსადო? იქნებ ვუთხრათ კიდეც, მაგრამ ისიც გეტყვის, ამ ბოლო სამ დღეში ჩვენც ვაპირებდით თბილისისა და თბილისელების აშენებასო. რატომ ვერ გვეტყვის, ჭკუა დაუშლის თუ კაცობა!

...როგორც იქნა, ავირჩიეთ ახალი საკრებულო და ახალი ქალაქის მერი, რომლებიც შეგვპირდნენ, ამ უსაშველო სიდიდის „უპრაგონო“ პრემიებს ბოლოს მოვუღებთო. მეტიც, პრემიებს სულაც აღარ ავიღებთო აწი. ქალაქის ხელისუფლების ამ საქციელს მაგალითის ძალა ექნება და ხელისუფლების უფრო მაღალ და დაბალ ეშელონებშიც უარს იტყვიან პრემიებზე, გამოთავისუფლებულ დროს კი ხალხზე ზრუნვას მოახმარენ-მეთქი, — ვიფიქრე, მაგრამ მტერი არაა მეტი! როგორც იტყვიან, ხალხი ფიქრობდა, მერია იცინოდაო, — ისეა ჩვენი საქმე. პრემიებზე კი უარი თქვეს (ჯერჯერობით!) მერიის მაღალჩინოსნებმა, მაგრამ არც თუ ისე ახალი მერის დავით ნარმანიას განკარკულებით დედაქალაქის ვიცე-მერს 3540 (კორექტურად რომ არ მოგეჩვენოთ, სიტყვიერადაც დავწერ: სამი ათას ხუთასორმოცი!), მერის მოადგილეს — 3360, მერიის ადმინისტრაციის უფროსს — 3180, მის პირველ მოადგილეს — 2000, „უბრალო“ მოადგილეს 1800 და ა. შ. ლარის ყოველთვიური სახელფასო დანამატი დაენიშნათ...

ცნობისათვის: ექიმისა და პედაგოგის ხელფასი 400 (ოთხას!) ლარს არ აღემატება, საპენსიო ასაკის ხალხს პენსია საერთოდ არა აქვთ. ის საცოდავი 150 ლარი ყოველთვიური შემწეობაა, მათხოვრებს რომ უწყალობებენ ხოლმე, ისე!

ახლა საჯაროდ ვსვამ კითხვას: ამგვარი გაღორებული ხალხი რომ არის ხელისუფლებაში, რა ეწოდება მმართველობის ამ ფორმას? დღემდე არსებულ არც ერთ ფორმას რომ არ ჰგავს? ეს არც მონარქიაა, არც დიქტატურა, არც ოლიგარქია და, ღმერთო მაპატიე, არც დემოკრატია. აბა, რა არის? რა არის და **ლორიგარქია!** ვინც რა უნდა, ის თქვას და იფიქროს: საქართველოში დღეს **ლორიგარქია** ზეიმობს!

ამ ე. წ. ჩვენი ხელისუფლების ქმედებებს კი მოვუძებნე, მგონი, ზუსტი სახელი, მაგრამ ჩვენ თვითონ ვინ ვართ, რა ჯიშისა და ჯილაგისანი ვართ, — ვინ მეტყვის ამას? ხალხი ვართ, ვითომ? კი გვითხრა დიდმა ილიამ ამ საუკუნე-ნახევრის წინათ, ვინც ვიყავით, მაგრამ მას შემდეგ დიდად შევიცვალეთ — ღირსების გრძნობა გაგვიქრა და განათლებასა და განსწავლულობას ვუწოდებთ ამას, რომელიც, თურმე, ჩვენი ლიბერალური უბადრუკობითა და დემოკრატიული კრეტინიზმით გამოიხატება.

ილიას დროს თუ ქართველთა 80%-მა წერა-კითხვა არ იცოდა, ტელევიზორი და რადიო არავის ჰქონდა, ახლა ხომ ამდენივე პროცენტი ინტერნეტშია ჩართული და ნუთუ მაინც ისეთივე ყრუები და ბნელები ვართ, როგორც საუკუნე-ნახევრის წინათ იყვნენ ჩვენი წინაპრები? სამი ქართველი თუ არის თავმოყრილი, ისინი რომ უსათუოდ შექმნიან ოთხ პარტიას, ვერ ვხედავთ ამას? ათკაციანი და 1%-იანი რეიტინგის მქონე პარტიათა ბოსებს (თუ ბოზებს!) 20-30-ათასლარიანი ხელფასები რომ აქვთ, იმათ აქციებზე სიარულით და ტაშისკვრით ვიკლავთ თავებს?

ვინ არიან ეს მაწაკი გოგოები და შაშუბეშა ბიჭები, რომლებმაც პოლიტიკოსები დაირქვეს და ჩვენს წინამძღოლობას ჩემულობენ? რატომ არ ვკითხულობთ, რა ფულით დაეთრევიან უცხოეთში და რას ლაპარაკობენ ჩვენი სახელით? არ ვკითხულობთ და ამ „პოლიტიკოსებმა“ რაც დაგვმართეს 1990-1992 წლებში, 2008-ში და შემდგომ და მანამდეც, ის მოგვივა ახლაც! ვიდრე არ მივხვდებით, რომ ჩვენი მშველელი არც ედიკაა და არც მიშიკა, არც შალიკო და არც ბიძო, მანამდე არაფერი გვეშველება!

ღირსეულმა ხალხმა ის როგორ უნდა დაუშვას, რომ მისი წინამძღოლობის მოწადინე იყოს მაიმახი, ცალტვინა და ბრიყვი? მარტო მოწადინე კი არა, კიდევაც ისრულებდეს წადილს!

ჭკვიანი კაცი სხვათა შეცდომებზე სწავლობსო, — ნათქვამია. ჩვენ სხვის შეცდომებზე კი არა, საკუთარზეც ვერაფერს ვსწავლობთ. ასეთი მასობრივი გამოთაყვანება, ჩვენ რომ გვჭირს, სხვაგან არ შეიმჩნევა.

ჩვენი ღორები მარტონი არ არიან. მათ უკან ძლიერი მტაცებლები დგანან, რომლებიც ანგელოზის ნიღბებით ეჩვენებიან ჩვენს ბრიყვ საზოგადოებას და ბრძენის მანტიამოსხმულები გვმოძღვრავენ: თქვენს ხელისუფლებს, მართალია, ღორული სიფათები და საქციელი აქვთ, მაგრამ, სინამდვილეში, დემოკრატიის შუქურები არიან, რომლებიც წარგიძღვებიან ბედნიერი მომავლისაკენ, ანუ ნატოსკენო.

იმ მტაცებელთა შორის ზოგჯერ სხვებზე გულწრფელიც გამოერევა ხოლმე და პირდაპირ გვეუბნება: მართალია, თქვენი ხელისუფლები ნამდვილი ღორიშვილები არიან, მაგრამ, იცოდეთ, ისინი ჩვენი ღორიშვილები არიან და პატივისცემით მოექეცითო.

ჩვენს ხალხსაც მეტი რა უნდა: საკუთარ კაციშვილებს ძლიერი უცხოელის ღორიშვილები ურჩევნიათ!

ლეგენდა თუ მითი, ჩვენი ხალხის გამორჩეული თავმოყვარეობისა და სიამაყის შესახებ, ჩვენს თვალწინ გაქარწყლდა. რა ითვლებოდა ყველაზე უღირს საქციელად წარსულში (და ახლაც)? მათხოვრობა! მათხოვარს ჩვენში „გლახა“ ერქვა, უფრო სწორად, „ღვთის გლახა“, თუმცა, გლახა გლახაა, ღვთის არის თუ ეშმაკის. გაიარეთ ქალაქში და ნახავთ, გავსებულია ქუჩები ქართველი მათხოვრებით. აბა, ერთი ვინმეს თუ უნახავს ქურთი მათხოვარი ჩვენს ქალაქში? ვერ ნახავდა. მაშ, თბილისში ყველაზე ღირსეული ხალხი ქურთები ყოფილან. ქართველებს კი გვეგონა, რახან ისინი ქუჩებსა და ეზოებს გვიდნენ, რაღაცით, ჩვენზე ნაკლებები იყვნენ!

ვაი შენ, ბრიყვულო უმეცრებავ და უმეცრებაზე დამყნილო ქედმაღლობავ!

რა ვქნათ, ვის მივაკითხოთ რჩევისთვის? იქნებ, ისევ იმ პოლიტიკური „პარტიების“ იმედად ვიყოთ, რომელთა ლიდერები უცხოური ძღვენით (გრანტით!) ივსებენ გაღორებულ მუცლებს! ხომ ვცადეთ ბევრჯერ და არ გამოვიდა ამისგან არაფერი. არც არაფერი გამოვა, ვიდრე ჩვენს ფესვებთან არ დავბრუნდებით, ვიდრე ჩვენს დიდ წინაპრებს არ დავუგდებთ ყურს და ვიდრე ეშტონი თუ რასმუსენი იქნებიან ჩვენი საქმის გამრიგენი. შოთა რუსთაველს და ილია ჭავჭავაძეს მივაკითხოთ, დავით გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას მივაკითხოთ და იქნებ მივხვდეთ, რომ ჩვენი თავი „ჩვენ უნდა გვეყუდნოდეს“, იქნებ ვირწმუნოთ, რომ „ვინც არ არის კახაბერი“, მას ნუ ვიტყვით კახაბერად, იქნებ დავიჯეროთ, ბოლოს და ბოლოს, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, რომ „თავია სიცრუე, ყოვლისა უბედობისა“ და გადამწყვეტი ჭიტლაყი ამოვკრათ იმ ღორებსა და ძაღლიშვილებს, ამდენი წელი რომ გვატყუებდნენ, თვითონ და მათი ნაშიერნი კი სრა-სახლებს იდგამდნენ აქ თუ სხვაგან.

ახლა, ვინც სრულ ჭკუაზეა და კაცობაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს, დაინახავს, ალბათ, რომ ჩვენი ხელისუფლები (და, საერთოდ, ხელისუფლება!) არა მარტო გაღორდნენ, არამედ კიდეც გაგიჟდნენ, ან ჩვენ გვთვლიან გიჟებად. აი, მაგალითად, „ოცნების“ ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი ქალბატონი, თითქმის მთლად ლიდერი ვაჟბატონის ცოლი და დეპუტატი დღეში ცხრაჯერ, კაპასი ბიცოლაჩემის მსგავსად, გაჰყვირის ტელეეთერში: არჩევნებმა აჩვენა, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც ჩვენი ოპოზიცია, გაქრა პოლიტიკური სივრციდანო. ფა-ფუ, გაქრაო! ნაციონალების ასეთივე ლიდერი, პრეზიდენტის ყოფილი ნოტარიუსი ვაჟბატონი, ანუ პარლამენტის ყოფილი სპიკერი დასცინის ამ იურისტ ქალბატონს, ოცდაშვიდი ექვსზე მეტიაო. დასცინებს, აბა, რა! ნაციონალებმა მეორე ადგილი აიღეს არჩევნებზე — 27%. მესამე ადგილზე გასულმა, მგონი, შვიდი პროცენტი მოაგროვა (თბილისის მერის არჩევნებს ვგულისხმობ!). ოცდაშვიდი მართლაც მეტია შვიდზე, რაც, არა მგონია, იმ ბიცოლაჩემის მსგავსმა კაპასმა ქალმა არ იცოდეს, მაგრამ ეჭვი მაქვს (ძალიანაც გონივრული!), რომ ჩვენ გვაბითურებს ორივე — კაპასი ბიცოლაჩემის მინამგვანი, მხოლოდ მისგან განსხვავებით, უზარმაზარი ხელფასით გაღორებული ქალბატონი და ასევე გვარიანად გაღორებული ყოფილი ვაჟბატონი სპიკერი.

კი, გვაბითურებენ ნამდვილად! ვითომ ჩხუბობენ, ჩვენს დასანახავად, ცხადია, ისე კი ერთმანეთთან ჩახუჭუჭებულები არიან!

ანდა ეს რად ღირს: ქვეყანა თავზე გვემხობა და ვითომ ქართული ტელევიზიები დღე და ღამე იმაზე მსჯელობენ, მოსწონთ თუ არა ერთმანეთი, სიყვარულით ესალმებიან თუ არა ერთმანეთს პრეზიდენტი (მეტი არაა ჩვენი მტერი, ის პრეზიდენტი არ იყოს!) და პრემიერ-მინისტრი (ანუ, როგორც ვასიკო ოდიშვილი ამბობს, პრემიეროვიჩი)!

ასე აღარ შეიძლება! უკან დასახევი გზა, ანუ მოსაცდელი დრო ჩვენ უკვე აღარ გვაქვს! როგორც 1941 წლის დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს, ლეგენდარულმა სერჟანტმა მოსკოვის მისადგომებთან სანგარში მყოფ თვრამეტ პანფილოველ ჯარისკაცს მიმართა: „არც ერთი ნაბიჯი უკან! ჩვენს უკან მოსკოვია!“ ანუ სამშობლოაო და არც დაუხევიათ: თვრამეტმა ჯარისკაცმა 25 ტანკი ააფეთქა, თვითონაც დაიღუპნენ, მაგრამ სამშობლო გადარჩა!

ასეა ჩვენი საქმე ახლა!

ასე თუ არ ვიზამთ, ჩვენც ისეთივე ღორები ვიქნებით, როგორიც ჩვენი ახალი თუ ძველი ხელისუფლებაა!

**ზურაბ ცუცქირიძე**

ახლა, ვინც სრულ ჭკუაზეა და კაცობაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს, დაინახავს, ალბათ, რომ ჩვენი ხელისუფლები (და, საერთოდ, ხელისუფლება!) არა მარტო გაღორდნენ, არამედ კიდეც გაგიჟდნენ, ან ჩვენ გვთვლიან გიჟებად. აი, მაგალითად, „ოცნების“ ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი ქალბატონი, თითქმის მთლად ლიდერი ვაჟბატონის ცოლი და დეპუტატი დღეში ცხრაჯერ, კაპასი ბიცოლაჩემის მსგავსად, გაჰყვირის ტელეეთერში: არჩევნებმა აჩვენა, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც ჩვენი ოპოზიცია, გაქრა პოლიტიკური სივრციდანო. ფა-ფუ, გაქრაო!

# გაღიზიანებული დათვი გზაჯვარედინზე

## სუსტი ელცინი, ძლიერი პუტინი თუ... ფასები ნავთობზე?



**პუტინის საუზმე სიმარტოვეში რუსეთშიც კი ირონიის საგნად იქცა. ავსტრალიაში, „დიდი ოცეულის“ სამიტზე მარტომყოფი პუტინის ტრაპეზმა „ვოსკრესნი ვეჩერის“ წამყვან ვლადიმერ სოლოვიოვს შუასაუკუნეების პერიოდი გაახსენა, როდესაც იმპერატორების ოჯახის წევრები სიმარტოვეში საუზმობდნენ, დანარჩენები კი, ანუ „დაბალი დონის ხალხი“ სადღაც იქით იდგა.**

**როგორი იქნება „იმპერატორის ტრაპეზიდან“ გამოსული პუტინის შემდგომი რეაქცია? მთელ მსოფლიოს დუელში გამოიწვევს თუ კუთხეში მიმწყვდეულის პოზიციაში ჩადგება?!**

**ამის შესახებ For.ge-ს ექსპერტი მამუკა არეშიძე ესაუბრა.**

**— პუტინი თავს იმშვიდებს, რომ „დიდი ოცეულის“ სამიტის მასპინძლებმა დიდებული ატმოსფერო შექმნეს „ოციანის“ მუშაობისთვის, მაგრამ მან მაინც მოსკოვში დაბრუნება ამჯობინა, რადგან, თურმე, ორშაბათს სამუშაო დღისთვის უნდა მიესწრო: „მგზავრობისთვის ვლადივოსტოკამდე 9 საათი გვჭირდება და მერე კიდევ მოსკოვში სახლამდე ისევ 9 საათი. ორშაბათს კი სამუშაო დღეა და სამუშაოზე უნდა გავიდე. გარდა ამისა, 4-5 საათი მაინც უნდა მოვასწრო ძილი“. ამ სამიტზე პუტინის იგნორირება სწორი გამოსავალი იყო და რას მიაღწევენ მსოფლიოს ლიდერები ამით?**

— პუტინის ერთ-ერთი მიზანი იყო, რომ, ერთი მხრივ, დანარჩენი მსოფლიოსთვის და, პირველ რიგში, რუსული საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, რომ მას ისეთივე ურთიერთობები აქვს მსოფლიოს ლიდერებთან, როგორიც ჰქონდა და მეორე, სურდა, თავისი გეგმების, ყოველ შემთხვევაში, უკრაინასთან დაკავშირებული გეგმების ნაწილის მაინც მხარდაჭერის მიღება. თუმცა, ასე არ მოხდა და ამან გამოიწვია მისი გაღიზიანება. მიღებაც ცივი იყო და ამ გეგმებთან დაკავშირებითაც შეთანხმება ვერ შედგა. ამიტომაც პუტინი წამოვიდა სამიტიდან. თქვენს კითხვაზე, თუ რას მოიმოქმედებს პუტინი, ცოტა რთულია პასუხის გაცემა, რადგან იგი იმ ტიპის ადამიანია, რომელზეც ასეთი ცივი შხაპი გამოსაფხიზლებლად კი არა, გამაღიზიანებლად მოქმედებს. არა მგონია, რომ ცალსახა გადაწყვეტილება იყოს მიღებული, რადგან დღეს მისთვის უკრაინის მოვლენების გადათამაშება უაღრესად რთულია — უკან დასაბრუნებელი გზა, პრაქტიკულად, არ არსებობს.

ახლა სიტუაცია უკრაინაში ისეთია, რომ, ერთი მხრივ, გარკვეულწილად, თუნდაც ამ ორი რეგიონის — ლუგანსკის და დონეცკის ახალი ხელმძღვანელობის ფსევდოლეგიტიმაცია მოხდა, მაგრამ, მეორე მხრივ, კიევის მხრიდან გადადგმულმა ნაბიჯმა, როდესაც დაიხურა ყველა ბანკი ამ რეგიონში და სოციალური გადარიცხვები საერთოდ შეწყდა, დილემის წინაშე დააყენა რუსეთი. რვა მილიონი კაცის გამოკვება ახლა, როცა ისედაც მძიმე მდგომარეობა აქვს რუსეთის ბიუჯეტს, პლუს, როცა სოციალური მექანიზმები შექმნილი არ არის, ურთულესი რამაა. ამას ყირიმის პრობლემაც ემატება. სხვათა შორის, იქაური მცხოვრებლები ოფიციალურ კიევს კი ლანძღავენ იმის გამო, რომ გადარიცხვები არ არის, მაგრამ საჭმელს სთხოვენ ადგილობრივ ხელისუფლებას და ე.წ. „აპალჩენცებს“. ამიტომ ვთვლი, რომ სიტუაციის ანალიზის შედეგად მიიღებს პუტინი გადაწყვეტილებას. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, უკან დასახევი გზა მას უკრაინიდან არა აქვს და ბოლომდე უნდა „მიაწვეს“. ამიტომ, ძალიან გაუჭირდება მას ამ ყველაფრის გადათამაშება.

**— ის ფაქტი, რომ პუტინმა ნაადრევად დატოვა ავსტრალია, ზოგმა იმით ახსნა, რომ პირიქით, პუტინმა არად ჩააგდო მსოფლიოს ლიდერები, მიატოვა ისინი და რასაც უნდა, კვლავაც იმას გააკეთებს უკრაინასთან მიმართებით. მით უმეტეს, როცა ევროპა მხარს უჭერს უკრაინას სიტყვით, მაგრამ ერთი ტანკიც კი ვერ გააყვანინეს პუტინს. ვლადიმერ პუტინის მხრიდან ავსტრალიის მოულოდნელად მიტოვება იყო დემარში?**

— კი, ბატონო, შემიძლია, ჩავთვალო ასეც, რომ ეს იყო პუტინის დემარში და პუტინმა იგნორირებას იგნორირება დაუპირისპირა, მაგრამ ეს სიტუაციას ხომ არ ცვლის? მოცემულობა ასეთია, დღეს რუსეთი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია, მოსკოვში შეზღუდულია სურსათის შეტანა და ხალხი რთულ მდგომარეობაშია. იქ არა მხოლოდ სურსათზეა ლაპარაკი, არამედ ფულის მასის მოძრაობის სერიოზულ შეზღუდვაზე.

**— ამას ემატება ნავთობის ფასის ვარდნაც.**

— დიახ, ამ ყველაფერს ნავთობიც ემატება და ავსტრალიაში ვინ ვის გაუკეთა იგნორირება, ამას უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელ რეალობას.

**— როგორ აისახება ეს ყველაფერი საქართველოზე? ჩვენ აფხაზეთთან „მოკავშირეობის და ინტეგრირების ხელშეკრულების“ გაფორმების მომსწრენი ვართ. ამ შემთხვევაში, „გაღიზიანებული დათვის“ პოზიციას მივიღებთ აფხაზეთთან მიმართებით და კიდევ უფრო დაჩქარდება ინტეგრაციის პროცესი აფხაზებთან?**



— აფხაზებთან დაკავშირებით მოსკოვი არ შეანელებს ამ კურსს, რადგან ეს ავტომატურ რეჟიმშია გადასული, მიუხედავად იმისა, რომ ვერ შეთანხმდნენ იმ ხელშეკრულების ბევრ პუნქტზე. რაც უფრო ღრმაა ქართულ-დასავლური ინტეგრაცია და ბრიუსელში ღარიბაშვილის ვიზიტმაც ამ მიმართულებას ხორცი შემატა, შეგვიძლია, ვიგულისხმოთ, რომ რუსეთი ამ სვლას ბოლომდე გააგრძელებს. არ გამიკვირდება, თავისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კოზირიც გაათამაშოს — ცხინვალის რეგიონის მაქსიმალური ინტეგრირება რუსულ სივრცეში ჩრდილო ოსეთთან გაერთიანებამდე. ეს იმ შემთხვევაში, თუ ნატოს საწვრთნელი ბაზების რეალური მშენებლობა დაიწყება საქართველოს ტერიტორიაზე.

**— როდესაც ევროპულ სანქციებზე ვსაუბრობთ, დღემდე კითხვად რჩება, რამდენად თანმიმდევრულია თავად დასავლეთი? მაგალითად, დევიდ ქემერონი ამბობს, პუტინი აცნობიერებს, რომ იგი გზაჯვარედინზე იმყოფება და, თუკი პუტინი კვლავ გააგრძელებს უკრაინის დესტაბილიზებას, ამას სანქციები, დამატებითი ზომები მოჰყვება. ბარაკ ობამაც აცხადებს, თუ რუსეთი უკრაინასთან მიმართებით პოზიციას შეცვლის, იგი პირველი იქნება, ვინც სანქციების მოხსნას მხარს დაუჭერს. თუმცა, პარალელურად, გვესმის, რომ „მისტრალზე“ რუსებს ისევ დაუშვებენ. ექსპერტებს შორის დღემდე განსჯის საგანია, სუსტია თუ არა დასავლეთი რუსეთთან მიმართებით?**

— რასაკვირველია, ერთი შეხედვით, სუსტი იყო დასავლური ნაბიჯები, ისინი არათანმიმდევრულებიც იყვნენ და არაორგანიზებულებიც. ცხადია, ხანმოკლე პერსპექტივის თვალსაზრისით, ეს სანქციები რუსეთის პოლიტიკაზე დიდ მნიშვნელობას ვერ იქონიებს, მაგრამ ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით, სერიოზულად დააზიანებს რუსულ ეკონომიკას. დღეს რუსეთის სირთულეები მარტო იქიდან კი არ გამომდინარეობს, რომ სანქციები არსებობს, არამედ იქიდანაც, რომ ნავთობის ფასი შეიცვალა და თვითონ რუსეთი მიხვდა, რომ ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით, მის ეკონომიკას სერიოზული დარტყმა მიადგება. ამიტომ შეზღუდა საკუთარი ეკონომიკის აქტიურობა. ამიტომაც ასეთი მძიმე ვითარება შეიქმნა ახლა რუსეთში, რადგან რუსეთმა თვითონაც შეაჩერა ზოგიერთი პროცესი, რომ მოემზადოს მომავალი მძიმე დარტყმისთვის.

**— პარალელურად, ალბათ, დასავლეთის დაბნეული მანევრირება და ორმაგი სტანდარტი რუსეთს ამის საშუალებას აძლევს. „მისტრალზე“ რუსების დაშვება ვახსენეთ, რაც იმის სრული ანტიპოდია, რომ ამერიკაში უკრაინისთვის იარაღის მიწოდების საკითხს აქტუალურად განიხილავენ.**

— რასაკვირველია, დასავლეთის დაბნეული მანევრირება რუსეთს ხელს აძლევს. მსოფლიოს გლობალურ პოლიტიკაში ასე ხდება, ერთი ხელით ერთს აკეთებენ, მეორეთი — მეორეს. პარადოქსალურია, მაგრამ დღეს რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ ულიანოვსკში სრულყოფილად მუშაობს ნატოს ბაზა, რომელსაც ავღანეთიდან გამოსული ტვირთები ევროპაში გადააქვს. ორმაგ სტანდარტს, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ვერ ავუვლით გვერდს. მეორე მხრივ, პოლიტიკა, ასევე, ორმაგი სტანდარტებით არსებობს. ამიტომ ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია. რუსეთის ეკონომიკის მორჯულება, შეზღუდვა და შევიწროება ძალიან მარტივი იყო იმ სააუდიტორო და იურიდიული ფირმების მუშაობის შეზღუდვით, რომლებიც რუსეთის კომპანიების ინტერესებს იცავს, მაგალითად, ლონდონის ბირჟაზე. ეს ფირმები რომ გაეჩერებინათ, უამრავი რუსული კომპანიის მუშაობის საქმე დამთავრებული იქნებოდა. თუმცა, არ წავიდნენ ამაზე. ასე რომ, არსებობს ორმაგი სტანდარტი. მიუხედავად ამისა, რუსეთის ეკონომიკა იმდენად სუსტია და იმდენად არის დამოკიდებული ერთ პროდუქტზე, რასაც ენერგომატარებელი ჰქვია, რომ კოსმეტიკურმა სანქციებმაც კი უმძიმესი მდგომარეობა შეუქმნა.

**— რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ყირიმის ანექსია იყო ხაფანგი პუტინისთვის, რითაც ევროპას შესაძლებლობა მიეცემა, ნაადრევად გაწყვიტოს გაზის მიწოდების კაბალური ხანგრძლივვადიანი კონტრაქტი რუსეთთან. რომ არა ფორსმაჟორული სიტუაცია, ევროპელებს ამ კონტრაქტის გაწყვეტის გამო დიდი სანქციები დაემუქრებოდათ. როგორ გგონიათ, ყირიმის ანექსია პუტინისთვის სატყუარა იყო და დასავლეთმა სპეციალურად მიუშვა იგი?**

— ყირიმის ანექსიას უკრაინის მოვლენებისგან მაინც არ გამოვყოფ. თავის დროზე რუსეთმა მოუწყო ამერიკელებს ვიეტნამი, ამერიკელებმა მოუწყეს რუსებს ავღანეთი, შემდეგ რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამერიკელებისთვის მოეწყო ავღანეთი და ერაყი ერთად. ეს ყველაფერი თამაშია. ამიტომ დაწყება კი არ არის მთავარი, არამედ მთავარია, მერე როგორ ჩაითრიეს ერთმანეთი. ერთი მხრივ, უკრაინაში მიმდინარე პროცესების მეშვეობით რუსეთმა შეინარჩუნა გავლენები უკრაინაში და მისი გაერთიანება ევროსტრუქტურებსა და ნატოში რეალურად შეზღუდა, მაგრამ, მეორე მხრივ, დასავლეთმა აიძულა რუსეთი, თავიდან ფეხებამდე ჩართულიყო ამ პროცესში. აქედან გამომდინარე, დიდი ხნის განმავლობაში ნატოში ველარ მოხვდება უკრაინა, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსეთი კარგა ხნის განმავლობაში ვერ დაიძვრენს თავს უკრაინის პრობლემიდან.

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

---

**ალიანჩალიანი**

# ჩეხური რეზოლუცია საქართველოზე

**ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის ევროკავშირის საკითხთა კომიტეტმა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ რეზოლუცია მიიღო. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.**

**როგორც რეზოლუციის ტექსტშია აღნიშნული, ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის ევროკავშირის საკითხთა კომიტეტი სრულ მხარდაჭერას გამოხატავს საქართველოს ძალისხმევისადმი — საერთაშორისო სამართლის შესაბამისად უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი.**

**კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციის მცდელობა, გააფორმოს ხელშეკრულება — „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან, რუსეთის მხრიდან საქართველოს საშინაო საკითხებში ჩარევის დაუშვებელი ქმედებაა, რომელიც საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება.**

**როგორც რეზოლუციაშია ნათქვამი, კომიტეტი იმედოვნებს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტები დროულად მოახდენენ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შეთანხმების რატიფიცირებას. რადგან ეს ურთიერთშეთანხმება, სხვა საკითხებთან ერთად, სთავაზობს რეალურ პერსპექტივებს სეპარატისტულ ტერიტორიებზე იზოლაციაში მცხოვრებ მოსახლეობას და უზრუნველყოფს საკმარისად მძლავრ მოტივაციას, რომ ეს ტერიტორიები დარჩეს საქართველოს შემადგენლობაში.**



**რეზოლუცია ასევე ხაზს უსვამს 2014 წლის 8 ოქტომბერს, ჩეხეთის მე-7 მოწვევის სენატის მიერ მიღებულ რეზოლუციას, რომლის მიხედვით სენატმა უარყო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლად აღიარების მცდელობები.**

**ინტერპრესი**

# როცა პოლიტიზაციაზე ვსაუბრობთ...



**თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავება ლამაზი ფორმით არ მოხდა, მაგრამ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ „გადაწყვეტილება ემოციურ ფონზე მიიღო და ცოტა გადაამეტა“. სესიაშვილს ალასანიას მიმართ კითხვა აქვს და ინტერესდება, რამდენად თავსებადი იყო, მინისტრობის დროს, წინასწარ გაცხადებული სურვილი, რომ ალასანია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე გამხდარიყო.**

**თავდაცვისა სამინისტროს გარშემო განვითარებული მოვლენების თაობაზე, for.ge ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა:**

**— საქართველოში ნატოს საწვრთნელი ბაზა აშენდება. რას ნიშნავს ეს ქვეყნისთვის?**

— მსგავსი სასწავლო ცენტრები არის საჩხერეში, კრწანისში და კიდევ ბევრ ადგილას. ამ ცენტრების ფარგლებში ქართველი სამხედროების მომზადება-გადამზადება ხდება და ეს პროცესი არ ჩერდება. წვრთნების წარმართვაში პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები გვეხმარებიან და ამაში დასამალი რა არის? ცენტრის ჩამოყალიბება იმისათვის ხდება, რომ ამ ყველაფერს სწორი ფორმა და შინაარსი მიეცეს. საქართველოში ნატოს სამხედრო წარმომადგენლები მუდმივად გვეყოლებიან, რომლებიც სამხედროებს მოამზადებენ, რაც ჩვენი თავდაცვითი შესაძლებლობების ზრდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამას გარდა, ეს ყველაფერი თავსებადობისთვის გადადგმული ნაბიჯია. ნატო აღიარებს და ამბობს, რომ ყველაზე თავსებად ქვეყნებს შორის ვართ.

**— ამ ცენტრის მშენებლობა, რა რისკებს შეიცავს?**

— იმის თქმა, რომ აქ თუ საწვრთნელი ბაზა გაიხსნება, ეს რუსეთის გაღიზიანებას გამოიწვევს, მართებული არ არის. ამ საკითხს პოლიტიკურად რომ შევხედოთ, ნატო ინვესტიციას ჰაერში არ დებს და ამ ინვესტიციით ხაზი იმას ესმება, რომ საქართველო ნატოს პოტენციური წევრია და პარტნიორობას ვაღრმავებთ.

**— ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის ცვლილებაზე „თავისუფალმა დემოკრატებმა“ განცხადება გააკეთეს და კოალიციაც დატოვეს. პარტნიორი ქვეყნების წინაშე თავის მართლება გიწევთ, რომ ქვეყანამ საგარეო პრიორიტეტები არ შეცვალა?**

— დასავლელ მეგობრებს საქართველოს საგარეო ორიენტაციაში ეჭვი არ ეპარებათ, მაგრამ მათ გაუკვირდათ, რომ ასეთი კითხვა დაისვა და თან, კითხვა ირაკლი ალასანიამ დასვა, რომელსაც დასავლეთში ძალიან დიდ პატივს სცემენ, როგორც კარგ დიპლომატს, კარგ ორატორს და პატრიოტ ადამიანს. ეს კითხვა ბურჯანაძეს რომ დაესვა, მათ რეაქცია არ ექნებოდათ, მაგრამ როცა ასეთ საკითხს სვამ და ქვეყნის არჩევანს ეჭვის ქვეშ აყენებ, ეს ყველაფერი უნდა გაიაზრო. ქვეყნის არჩევანში ყველა დარწმუნებულია, მაგრამ რატომ აკეთებ ამას, როცა ეს რეალობას აცდენილია?

**— როგორ ფიქრობთ, რატომ გააკეთა ეს ალასანიამ?**

— მან გადაწყვეტილება ემოციურ ფონზე მიიღო და ცოტა გადაამეტა.

**— თქვენ მთავარი პროკურატურის ქმედებებს ამართლებთ? თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები მაშინ უნდა დაეკავებინათ, როცა მინისტრი ევროკრიტიკოს ქვეყნებთან — საფრანგეთთან და გერმანიასთან მოლარაკებებს მართავდა? როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ პროკურატურა საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა?**

— შეიძლება, ეს ფორმა არც მე მომეწონა და უმჯობესი იყო, ეს მაშინ მომხდარიყო, როცა მინისტრი აქ იყო, მაგრამ ფაქტია, რომ პროკურატურა დამოუკიდებელი ორგანოა და მას მინისტრების დღის წესრიგი ნამდვილად არა აქვს. სამინისტროებში ვიღაცას ყოველდღე აკავებენ და კანონში დაკავების საფუძვლად არ წერია, რომ მინისტრი ქვეყანაში უნდა იყოს. პროკურატურა ყველას დღის წესრიგს ვერ დაიდებს და ვერ ჩახედავს.

**— ბატონო ირაკლი, როდესაც, საქართველოში ნატოს დელეგაცია იმყოფებოდა, პროკურატურამ თბილისის მერიის 50 თანამშრომელი დააკავა, როდესაც, ირაკლი ალასანია საფრანგეთსა და გერმანიაში კონსულტაციებს იარაღის შესყიდვაზე აწარმოებდა, მისი თანამშრომლები კორუფციის ბრალდებით დააკავეს. ქვეყნისთვის მნიშვნელოვან დღეებში, დაკავებების სერია ერთმანეთს ემთხვევა?**

— ეს ყველაფერი შემთხვევითობა იყო და განგებ არ ხდება. თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავება მაინცდამაინც ლამაზი არ იყო, მაგრამ ეს იმის დამადასტურებელია, რომ პროკურატურა პოლიტიკური მოტივებით არ მოქმედებს და ამას თავის დაფასება უნდა ჰქონდეს.

**— ირაკლი ალასანია პროკურატურას ბოლო გაფრთხილებას აძლევს, რომ ე.წ. კაბელების საქმეზე მასალების განსაიდუმლოება მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციებს ჩართავს...**

— პროკურატურისა და დაცვის მხარის შორის პროცედურულ დავაში არ ვერევი და მხარეებს ვუსმენ. პროკურატურა ამბობს, რომ ადვოკატებს მასალების გაცნობას პროკურატურაში სთავაზობენ, რასაც ისინი არ თანხმდებიან. მათი თქმით, ისინი ასევე ადვოკატებს სთავაზობენ, რომ საკუთარ ოფისში უსაფრთხოების ზომები დაიცვან და მასალებს გაატანენ. კერძოდ, ოფისს სეიფი და გისოსები უნდა ჰქონდეს. ვინ არის

## მეტი კითხვა ალასანიასთან მაქვს

პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში თუ, ისინი მასალებს წაიღებენ და ისეთ ოფისში განათავსებენ, რომელიც დაცული არ არის? ეს დოკუმენტაცია ქვეყნის ბოროტის მსურველმა რომ გაიტაცოს, ეს ხომ ქვეყნის უსაფრთხოებას ზიანს მიაყენებს? როგორც ჩანს, ამ თემის პოლიტიზება ხდება.

**— თემის პოლიტიზებას ვინ ახდენს? „თავისუფალი დემოკრატები“ პირიქით, მათ წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაში პოლიტიკური დევნის ნიშნებს ხედავენ...**

**— მათი არგუმენტი რა არის? თუკი თავდაცვის სამინისტროში შესყიდვების განხორციელება არასწორად ხდებოდა, ეს აუდიტის სამსახურმა და პროკურატურამ მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც ალასანიამ პოსტი დატოვა?**

— თუკი ალასანია ხელს ჩვენსკენ იშვერს, იძულებული ვარ, მას პასუხი გავცე. როდესაც, ბიძინა ივანიშვილი პრემიერი იყო და მას სამხედროების მოწამვლის ფაქტზე ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა, მან უპასუხა, რომ ამ ფაქტზე გამოძიება უნდა დაწყებულიყო. თავის დროზე, ირაკლი ამას დათანხმდა, შიდა მოკვლევა ჩაატარა და პროკურატურას მასალებიც გადასცა. ალასანიამ მაშინ რატომ არ თქვა, რომ პოლიტიკური დევნის ნიშანი იყო? როდესაც, ღარიბაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, მის მიერ მიყვანილი შესყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი დაიჭირეს, მაგრამ ღარიბაშვილს არ უთქვამს, რომ მის მიმართ ბრძოლა პოლიტიკური ნიშნით მიდიოდა. თუ თემის პოლიტიზებაზე და პოლიტიკური ნიშნით საქმის მიდგომებზე ვსაუბრობთ, ამით მათ იქით უნდა შევედავოთ.

**— ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ პროცესების პოლიტიზებას „თავისუფალი დემოკრატები“ ცდილობენ?**

— ალასანიას ვეკითხები, რამდენად თავსებადი იყო მისი მინისტრობის დროს წინასწარ გაცხადებული სურვილი, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე გამხდარიყო? ამ საკითხის პოლიტიზება თვითონ ხომ არ დაიწყო?

**— პარტიის თავმჯდომარის პოსტზე ირაკლი ალასანიას დაბრუნებაში, რა საფრთხეებს ხედავდით? პარტიას აძლიერებენ რესპუბლიკელები, „ქართული ოცნება“ და კოალიციაში შემავალი სხვა პარტიებიც...**

— რამდენად თავსებადია, როცა თავდაცვის მინისტრი ხარ და შენს უკან 37 ათასკაციანი შეიარაღებული პირი დგას? როდესაც, თავდაცვის მინისტრი პარტიის თავმჯდომარეა, ეს არ არის ნორმალური. მინისტრი კონცენტრირებული ქვეყნის თავდაცვაზე უნდა იყოს და არა ვიწრო საკითხებზე.

**— პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, წლების განმავლობაში კი, მიხეილ სააკაშვილს ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის პოსტის დატოვებას სთხოვდით, რადგან მიიჩნევდით, რომ სახელმწიფო ლიდერი პარტიის სათავეში არ უნდა იყოს. ღარიბაშვილის შემთხვევაში, ეს თავსებადია?**

— მთელ მსოფლიოში პრემიერ-მინისტრები პარტიის ხელმძღვანელები არიან. ალასანია კი თავდაცვის მინისტრი იყო და მისი თანამდებობა მის მიზნებთან არათავსებადი იყო.

**— ანუ, ეჭვობთ, რომ ალასანია პოლიტიკური მიზნებისთვის გარკვეულ ნიადაგს იმზადებდა?**

— ამ საკითხის პოლიტიზაციაში მეტი კითხვა ალასანიას მიმართ ისმის, მიუხედავად მისადმი პატივისცემისა. თუ პოლიტიზაციაზე ვსაუბრობთ, მეტი კითხვა ალასანიასთან მაქვს. ალასანიამ ევროპული არჩევანი ეჭვის ქვეშ მას შემდეგ დააყენა, რაც თადაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები დააკავეს და, თუ მას კურსის თაობაზე ეჭვები ჰქონდა, ეს აქამდე რატომ არ გავიგეთ?

**— მან თქვა, რომ პროკურტურის ქმედებები ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსს საფრთხის ქვეშ აყენებდა. მას არ უთქვამს, რომ კურსს პრემიერი და მთავრობა ცვლიდნენ....**

— მან თქვა, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა იყო გაჩაღებული. თემის პოლიტიზება ვინ დაიწყო? — ბატონმა ალასანიამ. იმის რესურსი არსებობდა, რომ ეს კრიზისი კოალიციის დაშლამდე არ მიგვეყვანა, მაგრამ ამას მოთმინება და პოლიტიკური სიმშვიდე უნდოდა. როცა პეტრიაშვილი და ფანჯიკიძე დასავლელ კოლეგებს უმტკიცებდნენ, რომ ჩვენთან პოლიტიკური დევნა არ არსებობს და სასამართლო სამართლიანია, თუ მართალი ხარ, რატომ გეშინია? თუ სამართლიანი სასამართლო არ იყო, ეს მაშინ თავის დროზე ეთქვათ.

**— აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელმა ლაშა თორდიამ განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ ათი საქმე პროკურატურაში გადააგზავნა, საიდანაც ერთი საქმე ალასანიას წინააღმდეგ არის. თუ საქმეებში დანაშაულის ნიშნები არსებობდა, ორი წლის მანძილზე, ეს ვერ გამოიძიეთ?**

— პროცესი ახლა დამთავრდა. თორდიას მუდმივად ვეკითხებოდი, თუ რა ეტაპზე იყო მოკვლევა და ის მეუბნებოდა, მოკვლევა ჯერ არ დასრულებულაო.

**— ანუ, ათივე საქმის მოკვლევა ერთ დღეს დასრულდა?**

— საქმეებს პარალელურ რეჟიმში მიყვებოდნენ. „ნდობის ჯგუფისთვის“ მოწოდებულ მასალებში მთავარი თემა ალასანია არ არის, ძირითადი ნაწილი წინა დარღვევებს ეხება. საუბარია, წინა მინისტრების მიმართ სერიოზულ დარღვევებზე.

**თეონა მანაგაძე**

### ◎ კაკალ გულში

#### წერილოვანი თეზისები

**● ზურაბ ტყემალაძემ — 160 ლარი არ მქონია, ჩამიდესო!**

**● საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ხელფასები გაიზარდა 39 პროცენტით, შსს-ში 13 პროცენტით, სასამართლო სისტემაში — 70 პროცენტით, სასჯელაღსრულების სამინისტროში— 37 პროცენტით, პროკურატურაში — 56 პროცენტით.**

**საწყალი ხალხისთვის კი თითქოს შეჩერდა დრო...**

**● „როდესაც გიგაურს, კოჟორიძეს და ლომჯარიას ვხედავ, მზად ვარ, იარაღზე ვიტაცო ხელი“ — ჰანს იოსტი — გერმანელი პროზაიკოსი, პოეტი და დრამატურგი.**

**● განცხადება: ვამზადებ ფარულ მოსმენებზე წვდომის გასაღებებს.**

**ცალი ათი შაური.**

**● 23 ნოემბერს, 15 საათზე, უბნის ბირჟაზე, ფინანსურ პოლიციასთან და თავდაცვის სამინისტროს წინ, საზეიმოდ გაიხსნება დიდი მხედართმთავრის დავით კეზერაშვილის ვარსკვლავი.**

**ფეხი დაადგით, გულზე დაადგით ფეხი ყოველმან.**

**● ახლა ტელევიზორი ჩავრთე. ეკრანზე ალექს პეტრიაშვილი გამოჩნდა და პირველივე სიტყვა, რაც თქვა, NATO იყო.**

**იმწამსვე გამოვთიშე.**

**ესენი, ვინც გამუდმებით დეიდა NATO-ს გაიძახის, ყველანი „სხვისი შვილები“ არიან.**

**● ვისაც ქუდი არ გვაქვს, ვალი რომ მოვიხადოთ?**

**● ჩვენმა უსაყვარლესმა და ულამაზესმა Mancho Giorgobian-მა, ემზარ კვიციანთან დაკავშირებულ მიტინგზე ბრძანა:**

**— ამ ჩვენს იდიოტ ხელისუფალთ ჭკუა რომ ჰქონდეთ, იმ ათას ადამიანს დაგვხვრეტდნენ, რომლებიც მუდმივად ვუტრაკებთ და იქნებოდნენ საკაიფოდ!**

**სამწუხარო რეალობაა, მართლაც მეტნი არც ვიქნებით ისინი, ვისაც გვკიდია სკამები, ფული და მხოლოდ სამშობლო გვტკივა, არ გვეზარება ქუჩაში დგომა, არ გვეშინია სიკვდილის, ვინაიდან გვწამს, რომ მხოლოდ სამართლიანობისათვის მებრძოლი სულებისათვისაა ღია კარნი სასუფევლისანნი! მიყვარხართ, ჩემო თანამებრძოლნო!**

**● ქართული შოუ-ბიზნესის პრობლემა ისაა, რომ ხალხი ვართ უგემოვნო და გვაკმაყოფილებს ანრი ჯოხაძე და ნინო ჩხეიძე...**

**სტატისტიკის სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი მერი დაუშვილი: „მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში 95%- მა მიიღო მონაწილეობა“ .**

**თქვე ჩემის ცოდვით სავსენო, ეგ თუ უკვე გაარკვიეთ, ესე იგი გცოდნიათ, რამდენნი ვიყავით და რაღას შეგვჭამეთ — გამოდით უნდა დაგვთვალოთო?!**

**P.S. დღია ასობა ტუპიხ რაზიასნიაიუ — რაღაცის 95% რომ გაარკვიო რამდენია, ჯერ ის რაღაცა უნდა იცოდე, რამდენია!**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

### ◎ ალიან-ჩალიანი

## სოფელ რუხში სავაჭრო ცენტრი აშენდება

**ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში ენგურის ხიდიდან ერთი კილომეტრის მანძილზე, მულტიფუნქციური სავაჭრო ცენტრი აშენდება, — პროექტის შესახებ ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე გუშინ იმსჯელეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.**

**პრემიერის ადმინისტრაციის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, მულტიფუნქციურ სავაჭრო ცენტრში, რომლის მშენებლობა 2015 წლის გაზაფხულზე დაიწყება და შემოდგომაზე დასრულდება, ასევე განთავსდება ბანკი, ვეტერინარული კლინიკა, ფოსტა, აფთიაქი, მცირე სამაცივრე დანადგარები და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმღები პუნქტი.**

**ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე ასევე განიხილეს წყალტუბოს განვითარების კონცეფცია და მოისმინეს „საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობის ანგარიში. საუბარი შეეხო ფონდის თანადაფინანსებით უკვე მიმდინარე და 2015 წლისთვის დაგეგმილ პროექტებს.**

**ინტერპრესი**

საგარეო ვალი




# ვისი გვმართებს და რამდენი?

**მიახლოებითი სიზუსტით თუ ვიტყვით, საქართველოს მოსახლეობის 5 პროცენტი ისე ცხოვრობს, თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნის ბურჟუას რომ ეკადრება, 45 პროცენტი — სიღატაკის ზღვარზე და მის ქვემოთ არსებობს, დანარჩენი ნახევრის ნახევარზე მეტი, თავისი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით უფრო „შეძლებულ ღარიბთა“ რიცხვს განეკუთვნება, ვიდრე „ღარიბ მდიდართა“ ფენას. დანარჩენები კი იმ მედროვეთა დასტას შეიძლება მივაკუთნოთ, რომლებიც ქვეყანაში პოლიტიკური კონიუნქტურისდა მიხედვით, ხან „კარგად“ გრძნობენ თავს, ხანაც „ისე რა“. ეს, ძირითად დასაქმებაზეა დამოკიდებული, რომელიც ჩვენში, ისევე, როგორც მსოფლიოს აბსოლუტურ უმრავლესობა ქვეყანაში, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ნომერ პირველი პრობლემაა.**

თუმცა კი, ჩვენში ეს საკითხი განსაკუთრებულ სიმკაცრეს იმიტომაც იძენს, რომ ქვეყანაში უამრავი ლტოლვილი, უსახლკარო ადამიანია, რაც ისედაც მძიმე სოციალურ ფონს დამატებით ტვირთად აწვება. ბუნებრივია, რომ უმუშევრობის დაძლევის ერთადერთი გზა ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა, რისი გაკეთება ეკონომიკური განვითარების ტემპის ზრდის გარეშე შეუძლებელია. იმის გამო, რომ ბოლო წლებში ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპი საკმაოდ დაბალია და, ნაცმოძრაობის ლიდერთა გაუთავებელი ბაქიბუქის მიუხედავად, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ მათი ხელისუფლების სათავეში ყოფნისას, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების უმთავრესი წყარო სახელმწიფო ქონების გასხვისება, უსაშველოდ დიდი საჯარიმო სანქცია-საურავები, საგარეო და შიდა ვალების და სხვა მსგავსი აშკარად არაეკონომიკური მეთოდები იყო. კერძოდ, **თუ 2009 წელს საქართველოს საგარეო ვალი 2 მილიარდ 694 მილიონი დოლარი იყო, წლევანდელი ოქტომბრისთვის საქართველოს მთავრობის დავალიანებამ უცხოელი კრედიტორებისადმი 4 მილიარდ 73 მილიონი ლარი შეადგინა, ანუ 50 პროცენტზე მეტად გაიზარდა!**

საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, საქართველოს ყველაზე დიდი კრედიტორია **მსოფლიო ბანკი,** რომლის დაახლოებით 1,8 მილიარდი დოლარი გვმართებს. მევალეთა ჩვენთვის მეტად არასასიამოვნო სიაში რიგით მეორე ნომერია **აზიის განვითარების ბანკი,** „მოკრძალებული“ 384 მილიონი დოლარით, „პრიზიორ კრედიტორთა“ ჩამკეტი კი **საერთაშორისო სავალუტო ფონდია,** რომლის 150 მილიონი დოლარი გვმართებს.

ცხადია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარდა, საქართველოს ფულად საკრედიტო ხაზებს ასევე მეგობარი, პარტნიორი ქვეყნები უხსნიდნენ. მათ შორის ყველაზე მეტი ფული **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა** გვმართებს — ოქტომბრის დამდეგისთვის ამ თანხამ 317 მილიონ დოლარს გადააჭარბა. გერმანიას შემდეგ ყველაზე დიდი ვალი **იაპონიისა** გვაქვს—133 მილიონი დოლარი, მესამე ადგილზეა **რუსეთის ფედერაცია** (95 მილიონი დოლარი). მევალეთა ნუსხაში სულ 17 ქვეყანაა, რომელთა მიმართ საქართველოს დავალიანება მთლიანად 765 მილიონ დოლარს შეადგენს. ცალკე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, მართალია, საგარეო ვალის დიდი ნაწილი დაბალპროცენტიანი გრძელვადიანი სესხებია, მაგრამ საქმე ისაა, რომ რამდენიმე წლის წინათ, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ, ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე ნახევარი მილიარდი დოლარის ევრობონდების გაყიდვით დიდი ვალი წამოკიდა ქვეყანას, რომლის პროცენტების მომსახურება სახელმწიფო ბიუჯეტს ძალიან ძვირი უჯდება.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს მოსახლეობისთვის სამი ყველაზე მწვავე პრობლემის — **ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, აგრეთვე, გაზითა და სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფაზე იყო მიმართული.** ამასთან, ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ამ მიმართულებებით სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის საკითხის მრავალი ასპექტი კითხვებს ბადებს.

ასევე ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო ვალი მილიარდ 379 მილიონი დოლარით გაიზარდა, სხვა ქვეყნების საგარეო ვალებთან შედარებით, მისი დონე საგანგაშო ნამდვილად არ არის. თანაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბოლო წლებში, საგარეო ვალისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალთან შეფარდებას კლების ტენდენცია აქვს: **თუ 2010 წელს ეს მაჩვენებელი 150 პროცენტი იყო, წლეულს მისი საპროგნოზო მაჩვენებელი 116 პროცენტამდე, ხოლო 2017 წელს — 103 პროცენტამდე შემცირდება.**

მეტად მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ შესაბამისად მცირდება საგარეო ვალის შეფარდება ქვეყანაში წარმოებულ მთლიან შიდა პროდუქტთან, რასაც მყარი ტენდენცია აქვს. ექსპერტები ხაზს უსვამენ იმასაც, რომ საგარეო ვალი, მართალია, შესაძლოა გაიზარდოს, მაგრამ მთავარია მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მესამედს არ გადააჭარბოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

თავდაცვა და უსაფრთხოება

# იენს სტოლტენბერგი: საქართველოში საწვრთნელი ცენტრის ჩამოყალიბება გადავწყვიტეთ

**საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის შექმნასთან დაკავშირებული დეტალები, ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტერიალზე გახდება ცნობილი, რომელიც თებერვალში გაიმართება.** რაც შეეხება საწვრთნელ ცენტრს, ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ის საქართველოში ჩამოყალიბდება. პრემიერ-მინისტრი კი მიიჩნევს, რომ საქართველოსა და ნატოს ურთიერთობებში ახალი ეტაპი იწყება.

**„ჩვენ ვაპირებთ, გავაგრძელოთ მუშაობა იმ პაკეტზე, რომელზეც შევთანხმდით უელსში. ეს გახლავთ პაკეტი, რომელიც გააძლიერებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას. ეს გახლავთ ერთობლივი წვრთნები, ნატო-საქართველოს საწვრთნელი ცენტრის შექმნა. ამას ვაკეთებთ, რადგან საქართველოს სუვერენიტეტს პატივს ვცემთ. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, ჩამოყალიბდეს საწვრთნელი ცენტრი და ის ჩამოყალიბდება“,** — აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა.



ექსპერტების განცხადებით, ნატოს საწვრთნელი ბაზა არის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საშუალება იმისათვის, რომ ჩვენი თავდაცვითი შესაძლებლობები გავზარდოთ. როგორც ცნობილია, საქართველოში ნატოს ინფრასტრუქტურის გაშლის თაობაზე გადაწყვეტილება ნატომ უელსის სამიტზე მიიღო. დეტალური გეგმა შემუშავდა თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ალასანიას მინისტრობის დროს, რომელსაც მინისტრის ყოფილი მოადგილე მიხეილ დარჩიაშვილი კურირებდა.

**„სამოქალაქო საბჭო თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში“ ხელმძღვანელი შორენა ლორთქიფანიძე ამბობს, რომ უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული, სამოქმედო გეგმა დასრულებული იყო.**

**„მე ვიცი, რომ საკმაოდ წინ იყვნენ წასული, მომზადებული იყო გეგმაც, მიხეილ დარჩიაშვილს მიჰყავდა ეს პროცესი. იმედი მაქვს, რომ მუშაობა გრძელდება. ახლა მთავარია, თანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგას. ნატო გვთხოვს, რომ უკეთესი თავდაცვა და უსაფრთხოების სისტემა გვქონდეს.**

**მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო ცენტრი ფუნქციური გახდეს. ეს იქნება საქართველოს სასწავლო ცენტრი, რომელსაც უმეტესწილად დააფინანსებს თვითონ საქართველო და ნატოს წევრი ქვეყნის თავდაცვის სამხედრო ძალებს მისცემს საშუალებას, რომ აქ გაიარონ მომზადება, რაც კიდევ უფრო დააკავშირებს და გააღრმავებს ნატოსთან ურთიერთობებს“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას შორენა ლორთქიფანიძემ.

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ ნატოს ინფრასტრუქტურის ნიშნები მოკლე ხანში რეალურად გამოჩნდეს საქართველოში.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ამბობს, რომ სახელმწიფო მზად არის, თავის თავზე აიღოს ყველა ის ვალდებულება, რაც საჭიროა გაძლიერებული პარტნიორობის პაკეტის ფარგლებში.

**„საწვრთნელი ბაზა არის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საშუალება იმისთვის, რომ ჩვენი თავდაცვითი შესაძლებობები გავზარდოთ, ამიტომ, თავისთავად ცხადია, ჩვენ ამას მივესალმებით. ჩვენი სახელმწიფო მზად არის ნაბიჯი გადადგას და თავისთავზე აიღოს ყველა ის ვალდებულება, რაც საჭიროა ამ პაკეტის ფარგლებში. ეს ის პაკეტია, სადაც ვალდებულებები აკისრია ორივე მხარეს. ჩვენ ამას მივესალმებით, მზად ვართ, მაქსიმალურად დავაჩქაროთ მისი იმპლემენტაცია. გადამეტებულია ის განცხადებები, რომელიც ნატოს ბაზის გახსნასთან დაკავშირებით ე.წ. რისკებს უკავშირდება“,** — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მუჩაიძე თვლის, რომ საქართველოს პოლიტიკის აგება იმაზე, რომ ნატოს სასწავლო ცენტრმა შეიძლება რუსეთის გაღიზიანება გამოიწვიოს, მართებული არ არის! ქვეყანამ პოლიტიკა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდაააწყოს და მუდმივ კონტაქტში იყოს დასავლელ პარტნორებთან, საერთაშორისო თანამეგობრობასთან და დაასაბუთოს, რომ ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯები არ წარმოადგენს დესტრუქციულ ქმედებებს.

**„ნატოს უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიმართულება არის საქართველოს თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება, საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩართვა სხვადასხვა პროგრამებში, ეს იქნება საწვრთნელი პროგრამები, ერთობლივი წვრთნები, თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საშუალების გამოყენება და ა.შ.**

**აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ეს ცენტრი უფრო მასშტაბური უნდა იყოს, მისი გამოყენებით უნდა მოხერხდეს საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების განმტკიცება და მათ შორის, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების სტანდარტების კიდევ უფრო ამაღლება და იმ ვალდებულებების შესრულება და ხელშეწყობა, რაც დაგვაახლოვებს ნატოში გაწევრების თვალსაზრისით“,** — აღნიშნა გიორგი მუჩაიძემ.

**თამთა ქარჩავა**

ვითარება

# საქართველოში მცირე ბიზნესი არ ვითარდება

**მცირე ბიზნესის განვითარების აუცილებლობა ყველას კარგად ესმის. ბევრი რამ თქმულა მცირე მეწარმეთა პრობლემებზე, მათ სატკივარზე, თუმცა, დრო გადის, პრობლემები პრობლემებად რჩება და არც მცირე მეწარმეთა შემოსავალი იზრდება, არც მათი რაოდენობა, სამაგიეროდ, სწრაფი ტემპით ვითარდება მსხვილი ბიზნესი. ეს კარგად გამოჩნდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვებიდანაც: „ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყანაში გაიზარდა მსხვილი გადამხდელების რაოდენობა, რომელთა ბრუნვა 3 მილიონ ლარზე მეტია, ხოლო მათი შემოსავალი 4,5 მილიარდი ლარით გაიზარდა“, —აღნიშნა ღარიბაშვილმა თავის ანგარიშში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე პერიოდში წვრილი და საშუალო ბიზნესის ბრუნვა არ შეცვლილა და კვლავ ერთი მილიარდია, ყველაფერი ნათელი ხდება.**

ბუნებრივია, მცირე მეწარმეები ვერ უძლებენ უთანასწორო კონკურენციას და ხშირ შემთხვევაში საქმიანობას წყვეტენ. bpn.ge-მ რამდენიმე მცირე მეწარმე გამოკითხა. გიორგი ნ. ჰყვება, რომ პატარა მაღაზია ჰქონდა ვერაზე, ერთ მყუდრო ქუჩაზე, მაგრამ მისმა ბიზნესმა მხოლოდ ერთი წელი იმუშავა. **„მიზეზი უამრავი იყო. პირველ რიგში, მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი, ყოველ მეორეს ნისიად უნდოდა პროდუქტის წაღება, ამას ემატებოდა გადასახადები, ბოლოს კი, იქვე ახალი სუპერმარკეტი გაიხსნა, რამაც სულ გაგვიფუჭა საქმე. ჩემთან მარტო ისეთი ხალხი მოდიოდა, ვისაც სურსათის შეძენა ნისიად უნდოდა. შემოსავალი მაღაზიის ხარჯებს ვეღარ ფარავდა და იძულებული გავხდი, დამეხურა. ჩვენთან მცირე ბიზნესს განსაკუთრებული ხელშეწყობა არასოდეს ჰქონია და ეჭვი მაქვს, რომ არც ექნება“,** —ამბობს რესპონდენტი.

ანალიტიკოს დემურ გიორხელიძის აზრით, მცირე და საშუალო ბიზნესი სახელმწიფოს მიერ უყურადღებოდ არის მიტოვებული.

**„საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის“ დირექტორი თამაზ ვაშაკიძეც ფიქრობს, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა შესაშური სულაც არ არის“**:

მისი აზრით, მეწარმეობა ვერ განვითარდა სახელმწიფო სექტორის გამოც: **„ამ სექტორში ძალიან მაღალი ხელფასები აქვთ, თანაც, იქ მუშაობს რამდენიმე კაცი, დანარჩენები კი, მუქთახორები არიან. საიდან უხდიან ამ ხალხს ხელფასს? — ისევ მეწარმეებს ბეგრავენ. ეს მაშინ, როცა არც ერთი ნორმალური წინადადება მცირე მეწარმეობის დასახმარებლად ჩვენი სამინისტროებიდან ჯერ არ წამოსულა. არავინ ინტერესდება, მეწარმეები რა პირობებში არიან, როგორ ახერხებენ საქონლის შეძენას, რა ხარჯი სჭირდებათ, რომ თავისი საქმე შეინარჩუნონ. თანაც, ამ დიდმა მაღაზიებმა და სუპერმარკეტებმა დაახრჩო პატარა მაღაზიები. ბუნებრივია, ადამიანს ურჩევნია კეთილმოწყობილ სუპერმარკეტში შევიდეს, ვიდრე პატარა მაღაზიაში. საქართველოში მონოპოლიების არსებობა ძალიან აფერხებს მცირე მეწარმეობის განვითარებას. შექმნილი სიტუაცია კი, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს გააზრებული რამხელა სიკეთის მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნისათვის მცირე და საშუალო ბიზნესს“.**

**ხათუნა ჩიგოგიძე**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საქართველო-რუსეთი: ნორმალიზაციის გამოცდილებები

## არასაპარლამენტო ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ნატოზე უარის თქმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაეხმარება

**როდესაც რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმაში „სამთავრობო საათის“ დროს გამოდიოდა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ მოსკოვი მზადაა, „გააგრძელოს ურთიერთობის ნორმალიზაცია“ საქართველოსთან ისე, რომ არ შეცვალოს პოლიტიკა აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით.**

**„ჩვენ ვამზადებთ ახალ ხელშეკრულებას, რომელიც განამტკიცებს ჩვენს ურთიერთობას აფხაზეთთან, ვაფართოვებთ სახელშეკრულებო-სამართლებრივ ბაზას სამხრეთ ოსეთთან და მზად ვართ, გავაგრძელოთ ურთიერთობის ნორმალიზაცია საქართველოსთან“,** — განაცხადა ლავროვმა 19 ნოემბერს.

ლავროვმა ის ფაქტი, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა არ აღიარეს „სტრატეგიულმა პარტნიორებმაც კი დსთ-დან“, განმარტა იმით, რომ რუსეთი, მისი სიტყვებით, დასავლეთისგან განსხვავებით, არ ხელმძღვანელობს თავის ურთიერთობებში „ჯოხის დისციპლინის“ პრინციპით.

**„ჩვენ არ ვაიძულებთ ჩვენს პარტნიორებს მიიღონ სრულად, 100 პროცენტით ჩვენი შეფასებები. ჩვენ არ გვინდა, ჩავაყენოთ ისინი უხერხულ მდგომარეობაში, თუ მათთვის ეს რაღაც მიზეზის გამო კომფორტული არ არის. ეს არ არის სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი აფხაზეთისთვის, ოსეთისთვის ან ყირიმისთვის. აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის უსაფრთხოება, როგორც საერთაშორისო სამართლის ობიექტებისა, უზრუნველყოფილია რუსეთის ფედერაციის მიერ მთლიანად და საიმედოდ.**

**ყირიმი რუსეთის განუყოფელი ნაწილია, და მისთვის ჩვენ ვკისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას, როგორც რუსეთის ფედერაციის ნებისმიერი სუბიექტისთვის. სად არის აქ აუცილებლობა — ვაიძულოთ ადამიანები გააკეთონ რაიმე განცხადებები? მაგრამ ჩვენ შესანიშნავად ვხედავთ, რომ პრაქტიკულად ჩვენი მოკავშირეები გამოდიან ფაქტობრივად ჩამოყალიბებული რეალიებიდან. ჩვენთვის ეს ყველაზე მთავარია“,** — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, რუსეთმა 2008 წელს აღიარა საქართველოს ორი რეგიონის — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა და გადაისროლა დამატებითი ჯარები და შეიარაღება იქ განლაგებულ თავის სამხედრო ბაზებში. მსოფლიოს ყველა სახელმწიფო (ვენესუელის, ნიკარაგუასა და ნაურუს გარდა) ამ რეგიონებს მიიჩნევს საქართველოს ტერიტორიად, რომელიც ოკუპირებულია რუსეთის მიერ.



## „უნდა დაველოდოთ“

**რუსეთთან დიალოგის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ განაცხადა საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმაც. ამავე დროს, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ საქართველო არ წავა კომპრომისზე ოკუპირებული რეგიონების საკითხში.**

**„ჩვენ შევძელით, დაგვეწყო პირდაპირი დიალოგი რუსეთთან და მზად ვართ, გავაგრძელოთ იგი. მაგრამ ჩვენ ვიქნებით პრინციპულები ტერიტორიული მთლიანობის საკითხში და არ წავალთ კომპრომისზე, ვინაიდან საკითხი შეეხება ჩვენს ტერიტორიებს... ჩვენ არ გვაქვს რეალური წინსვლა რუსეთთან პოლიტიკურ ურთიერთობებში, მაგრამ უნდა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. და ჩვენ გვაქვს ევროკავშირის სრული მხარდაჭერა, და აუცილებელია მეტი ვიმუშაოთ, გვქონდეს მეტი ერთიანობა და ნაკლები საშინაო დაპირისპირება“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა 19 ნოემბერს.

## „ვთქვათ სიმართლე“

**არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ბრალი დასდო მმართველ კოალიციას იმ გზის არჩევაში, „რომელიც ვერ გადაწყვეტს“ საქართველოს ტერიტორიულ პრობლემებს. კერძოდ, მისი სიტყვებით, ღარიბაშვილის მთავრობის რიტორიკა ნატოს სასარგებლოდაა, იწვევს რუსეთის გაღიზიანებას. ბურჯანაძე ამტკიცებს, რომ თბილისმა ქვეყნის ერთიანობა მსხვერპლად არ უნდა შესწიროს ნატოში წევრობას.**

**„დღეს ჩვენმა ხელისუფლებამ სიმართლე უნდა უთხრას საქართველოს მოსახლეობას და თქვას, რომ ეს არის არჩევანი — ან საქართველო ნატოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე, თუ ეს არის კიდევ ახალი პოლიტიკა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს უარის თქმას სუვერენიტეტზე, მეგობრობაზე დასავლეთთან... ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ვამბობთ უარს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მოწესრიგების შანსზე ნატოში წევრობის ფასად“,** — განაცხადა ოპოზიციონერმა ქალბატონმა.

ბურჯანაძის კოალიციამ ივლისში ადგილობრივ არჩევნებში ხმების 10 პროცენტზე ოდნავ მეტი მიიღო.

## ექსპერტის აზრი

**პოლიტოლოგი სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის საქართველოს ცენტრიდან კახა გოგოლაშვილი არ ეთანხმება აზრს, რომ საქართველოს მიერ ნატოზე უარის თქმა დაგვეხმარება შეიცვალოს რუსეთის პოზიცია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით.**

მისი აზრით, რუსეთი საქართველოს აღიქვამს, როგორც თავისი არა საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკის გაგრძელებად, რომლის თანახმადაც, ჩრდილოკავკასიის ანალოგიურად, კრემლს სურს, განამტკიცოს თავისი გავლენა საქართველოში და დაიქვემდებაროს იგი. შესაბამისად, უარის თქმა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან გაერთიანებაზე მხოლოდ დააჩქარებს „მოსკოვის მიერ დასმულ ამოცანებს“, ამბობს გოგოლაშვილი, და შეზღუდავს საქართველოს სუვერენიტეტს, არ გადაწყვეტს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის პრობლემებს.

**„კრემლი ვერ შეძლებს გაიწვიოს ქართული რეგიონების დამოუკიდებლობა, და არ მოინდომებს ამის გაკეთებას, ვინაიდან თამაში ტერიტორიული საკითხით არის მეტად ეფექტიანი ბერკეტი მოსკოვის ხელში. მოისმინო ნინო ბურჯანაძის განცხადებები ნატოზე უარის თქმის მიზანშეწონილობის შესახებ, არ არის გასაოცარი, ვინაიდან იგი არის დამოუკიდებელი პოლიტიკოსი და ყოველთვის უძღვება ხაზს, რომელიც ასახავს კრემლის პოზიციას და ემსახურება პუტინს. ამრიგად, არ შეიძლება ვენდოთ მის განცხადებათა ობიექტურობას“,** — მიაჩნია კახა გოგოლაშვილს.

ექსპერტის აზრით, რუსეთის იმ პოლიტიკის დადასტურების კიდევ ერთი ფაქტი — მოახდინოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „ანექსირება“— არის რუსეთის მიერ დამუშავებული ახალი ხელშეკრულება აფხაზეთთან, რომელმაც არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია თავად სოხუმშიც. გოგოლაშვილს ეჭვი ეპარება, რომ თბილისი შეძლებს გააგრძელოს დიალოგი მოსკოვთან.

**„მეტად რთული იქნება მოსკოვთან საუბარი მაშინ, როდესაც მიდის შეტევა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. ვფიქრობ, მალე, თუ რუსეთის ხელმძღვანელობა კვლავაც მოიქცევა ასეთივე სულისკვეთებით, რუსეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკების ორმხრივი ფორმატი დაიხურება“,** — ამტკიცებს კახა გოგოლაშვილი.

Voice of America

# დედამიწის ზურგზე



### ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარეს, რომ ანტირუსულ სანქციებს პოლიტიკური ეფექტი არა აქვს. ბაიდენი ამ სანქციების გაძლიერების მოთხოვნით გამოვიდა

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მონაცემებით, ეკონომიკური მაჩვენებლები ადასტურებენ სანქციების ეფექტიანობას, მაგრამ მათ დღემდე ვერ შეძლეს, რომ მოსკოვმა შეცვალოს თავისი პოლიტიკა უკრაინაში. ამ დროს, აუცილებლობის შემთხვევაში, ეს სანქციები შეიძლება გაძლიერდეს — ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი აგრძელებენ ერთობლივ მუშაობას რუსეთზე ზემოქმედების ღონისძიებებზე.

### იაპონიის მთავრობამ პარლამენტის ქვედა პალატა დაითხოვა და ვადამდელი არჩევნები დანიშნა



პრემიერ-მინისტრმა სინძო აბემ წარმომადგენელთა პალატის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რათა ახალ არჩევნებზე მიიღოს ნდობის მანდატი თავისი ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის განხორციელებისთვის და გააგრძელოს ხელისუფლებაში ყოფნა მის ხელქვეით არსებული ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისა კიდევ ოთხი წლით.

### დიდთოვლობის მსხვერპლთა რიცხვმა ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში 10 კაცს მიაღწია



თოვლის ქარიშხალმა ნიუ-იორკის შტატში სატრანსპორტო კოლაფსი გამოიწვია. ნალექების სიმძიმის გამო სახლებს სახურავები ენგრევათ, ათ ოლქში შემოღებულია საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი. მეტეოროლოგები გვაფრთხილებენ, დიდთოვლობა გაგრძელდებაო.

### ობამა აპირებს იმიგრაციის რეფორმა კანონმდებელთა მხარდაჭერის გარეშე განახორციელოს

რესპუბლიკელების გამარჯვების შემდეგ კონგრესში არჩევნებზე რეფორმის მხარდაჭერა არარეალური გახდა, და ობამას განზრახული აქვს უკანონო ემიგრანტების ლეგალიზაციის საკითხები პრეზიდენტის ბრძანებულებების დახმარებით გადაწყვიტოს.



ალიანჩალიანი

## დარღვევები სურსათის წარმოების მხრივ რეაგირების გარეშე არ დარჩება

წყლის 2911 ნიმუშიდან 837 დადგენილ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, — ამის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი მიქაძემ განაცხადა. გიორგი მიქაძის ინფორმაციით, 2014 წლის განმავლობაში მონიტორინგის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სურსათის 3600 ნიმუშის აღება და მათი ლაბორატორიული კვლევა. ამ დროისათვის აღებულია 2991 ნიმუში.

„აღებული 2911 წყლის ნიმუშიდან 837 არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს. 80% დარღვევების მოდის მიკრობიოლოგიურ დარღვევებზე. მეტი წილი დარღვევების მოდის სასმელი წყლის მილებზე. ამასთან დაკავშირებით მიწერილ იქნა წერილები შესაბამის უწყებებში. განსაკუთრებით ეს ეხება რეგიონებს“, — აცხადებს მიქაძე.

მისივე თქმით, დარღვევები აღმოჩენილია ხორცსა და ხორცპროდუქტებში და ძირითადი დარღვევები მოდის ნახევარფაბრიკატებზე.

გიორგი მიქაძემ სააგენტოს მიერ განხორციელებულ ინსპექტირებაზეც ისაუბრა. მისი თქმით, დღემდე სულ 3500-მდე ინსპექტირება განხორციელდა. მათ შორის 1733 გეგმიური, 475 არაგეგმიური და 1210 გადამოწმება.

გამოვლენილი დარღვევის გამო 281 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 400 ლარით, 17 კი 1200 ლარით. საწარმოო პროცესი შეუჩერდა 98-ს. 4 სკოლის ბუფეტი იყო დაკეტილი კრიტიკული შეუსაბამობის გამო, ეს იყო 113-ე, 112-ე, 171-ე და 156-ე სკოლებში, მათ გამოასწორეს მდგომარეობა და ახლა გაიხსნა. დარღვევები შეეხებოდა ტექნოლოგიურ პროცესს, ტემპერატურული რეჟიმის დარღვევას, პერსონალის ჰიგიენას და სარემონტო სამუშაოებს, რომელიც ამ ბუფეტებში არ ტარდებოდა. საწარმოო პროცესი ჩერდება მაშინ, როცა გამოვლენილმა დარღვევამ, შეუსაბამობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას რისკი ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, — განაცხადა მიქაძემ.

## ხანძარი ლტოლვილთა სამინისტროში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ხანძარი გაჩნდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს„ საგანგებო და გადაუდებელ სიტუაციათა სააგენტოდან აცნობეს, ხანძარი სამინისტროს პირველ სართულზე ერთ-ერთ ოთახში გაჩნდა. ცეცხლი 30 მეტრ კვადრატულ ფართობზე გავრცელდა, რის შედეგადაც ინვენტარი დაიწვა. ადგილზე 8 სახანძრო მანქანა და ორი სამაშველო ჯგუფი იყო გასული.

ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ცეცხლის შედეგად არავინ დაშავებულა.

## თბილისში 56 წლის ქალმა იმშობიარა

თბილისის პირველ სამშობიარო სახლში 56 წლის ქალმა იმშობიარა, მან გოგონა გააჩინა. დედისთვის ბარბარე პირველი შვილია.

ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით, დედა-შვილი სამედიცინო დაწესებულებაში რჩებიან და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თბილისის პირველი სამშობიარო სახლის გენერალური დირექტორის ზაზა ავალიანის განცხადებით, ეს არის უნიკალური შემთხვევა და ეს არის რეკორდი დედის ხანდაზმულობის მხრივ საქართველოში.

საქართველოში პირველი პრეცედენტია, როდესაც 50 წელს გადაცილებული ქალი შვილს აჩენს.

## დირექტორი დიდი ოდენობით თანხის მითვისებისთვის დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფოს კუთვნილი, დიდი ოდენობით თანხის მითვისების ბრალდებით , ააიპ „ახალციხის მელიორაციის“ დირექტორი ზურაბ ბაიდაური დააკავა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში, ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მოსახლეობის მიერ გადახდილი სარწყავი წყლის საფასური, 33 070 ლარი, ნაცვლად იმისა, რომ მიემართა „ახალციხის მელიორაციის“ საბანკო ანგარიშზე, მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა.

გარდა ამისა, ბაიდაური დოკუმენტებში ასახავდა, რომ „ახალციხის მელიორაციის“ თანამშრომლებზე ხელფასები გეგმის მიხედვით იყო გაცემული, რეალურად დასაქმებულებზე არანაირი ანაზღაურება არ გაცემულა.

აღნიშნულ დანაშაულებრივ ფაქტზე, საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება 182-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

ინტერპრესი

საქმე №1/114-2014

# საარბიტრაჟო დადგენილება

### შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

21 ნოემბერი 2014 წელი ქ. თბილისი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”
საარბიტრაჟო მოპასუხე: თამაზ თოთლაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 30 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის თამაზ თოთლაძისა და ოფელია გაჯირახიმოვას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 1 იანვარს, ერთის მხრივ, შპს „ნოვა კრედიტსა” და მეორეს მხრივ, თამაზ თოთლაძეს პირადად და როგორც ოფელია გაჯირახიმოვას წარმომადგენელს შორის დაიდო №011412726 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე თამაზ თოთლაძეზე გასცა 4000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის ოფელია გაჯირახიმოვას საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება:

– მარკა, მოდელი: ვოლვო XC90; ტიპი: მაღალი გამავლობის; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2004; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №YV1CZ59F241099956. სარეგისტრაციო მოწმობა: AL1554198, სარეგისტრაციო ნომერი: BZB509.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე თამაზ თოთლაძეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე თამაზ თოთლაძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს და მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე თამაზ თოთლაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შენდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე რეგისტრაციისა და ასევე მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე თამაზ თოთლაძეს (პ/ნ 01019038563) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. თამაზ თოთლაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე თამაზ თოთლაძეს და ოფელია გაჯირახიმოვას (28001022605) ეცნობოს, რომ 2014 წლის 15 დეკემბერს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ბესარიონ კობერიძის მიმართ.

5. თამაზ თოთლაძესა და ოფელია გაჯირახიმოვას ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

# სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი“ აცხადებს კონკურსს კვებით მომსახურებაზე, კერძოდ, საკასო ცენტრში არსებული სასადილოს ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე

**ობიექტი:** საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში არსებული სასადილო.

**ობიექტის მისამართი:** ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №72.

**მომსახურების ვადა:** 1 (ერთი) წელი ხელშეკრულების დადებიდან (ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია ვადის გაგრძელება).

**ობიექტის ფართი:** 170,18 მ² (სასადილო დარბაზი 135.25 მ²; სამზარეულო 24.11 მ²; საკუჭნაო (სამარაგო+სამრეცხაო) 10.82 მ²)

**მომსახურების მიზანი:** ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

**ობიექტის აღჭურვილობა:** აღნიშნული ობიექტი აღჭურვილია ყველა იმ ინვენტარით (ელექტრო ქურებით, მაცივრით, ჭურჭლის სარეცხი მანქანით, მაგიდა-სკამებით, სამზარეულოსა და სუფრის ჭურჭლით და ა.შ.) რაც უზრუნველყოფს ობიექტის ფუნქციონირებას.

**თანამშრომელთა რაოდენობა:** 55-60 პერსონა.

**1. საკონკურსო ვადები:**

1.1. საკონკურსო განაცხადის (საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო წინადადებების) მიღება იწარმოებს 2014 წლის 5 დეკემბერს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 2 სსიპ „საქართველოს ეროვნულ ბანკში“, განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქულ კონვერტში. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები არ მიიღება;

1.2. საკონკურსო განაცხადების გახსნის ვადაა 2014 წლის 5 დეკემბერი 15:15 საათი;

1.3. კონკურსის შედეგების გამოცხადება მოხდება არაუგვიანეს 2014 წლის 15 დეკემბრისა;

1.4. ხელშეკრულება გაფორმდება: კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

**შენიშვნები:**

*ა) საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, უაპელაციოდ 10 დღით ადრე შესაბამისი შეტყობინების გაკეთებიდან ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;*

| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 11** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>გ) ობიექტზე ქვიშის მოპოვება უნდა განხორციელდეს „მიწისმწოვი" ტექნიკის საშუალებით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. საჯავახოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 116 100 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. საჯავახოს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 15 567 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 556,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 313 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 22 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 12** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ინერტული მასალის მოპოვება უნდა განხორციელდეს დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. აჯამეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ყვირილაზე, „მდ.ყვირილას" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 25 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. აჯამეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 146 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 414,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1029 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 22 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 13** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო | 204 559 691 |

| | | |
|---|---|---|
| | ნომერი | |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. პირველი ხორგას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 8 400 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. პირველი ხორგას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 461 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 146,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი ხალიცენზიო მოსაკრებელი | 492 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 22 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 14** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წუნასწარ შედგენილი ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესიჭინეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყალზე „ლესიჭინეს" (სამი უბანი) ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (სამივე უბანზე ერთად) - 47 400 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესიჭინეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 7 215 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 721,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი ხალიცენზიო მოსაკრებელი | 1 643 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 22 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 15** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ინერტული მასალის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგვის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე, „ძეგვი"-ს ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 15 600 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგვის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 536 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 253,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი ხალიცენზიო მოსაკრებელი | 707 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 22 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 22 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

◉ დაფასება

## IRB-მ ბიძინა ივანიშვილს რაგბის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური ჯილდო გადასცა



**ამ დღეებში ლონდონში რაგბის საერთაშორისო საბჭოს ეგიდით მსოფლიო რაგბის კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მსვლელობისას ჩატარდა სპეციალური ღონისძიება, რომლის დროსაც მოხდა რაგბის საერთაშორისო საბჭოს დიდების დარბაზის 15 ახალი წევრის დასახელება და მსოფლიოს მასშტაბით რაგბის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის სპეციალური საპატიო ჯილდოების დარიგება. „IRB-ს განვითარების ჯილდო“ საქართველოში რაგბის განვითარებისთვის გადაეცა საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს.**

ჯილდო ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენელმა, ფონდ „ქართუს“ პროექტების მენეჯერმა ირაკლი ქარსელაძემ მიიღო. დაჯილდოების ცერემონიალს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე ესწრებოდნენ, რომლებმაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სამინისტროში პრესკონფერენცია გამართეს და ჟურნალისტებთან აღნიშნული საკითხის გარდა სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებზე ისაუბრეს. რაგბის საერთაშორისო საბჭო განმარტავს, რომ ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ საქართველოში 23 სარაგბო ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა, მათ შორის ააშენა საწვრთნელი ცენტრები და სტადიონები.

**გიორგი შოთაძე**



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია და საფეხბურთო კლუბი „საბურთალო“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ფოტოხელოვანი, თბილისის „დინამოს“ მიღწევათა მემატიანე**

**კონსტანტინე შანიძე**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

◉ დაბრუნება

## ხუთი რგოლის რაინდი სამშობლოში!

**ოცდასამი წელიწადი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაატარა — ორ ოლიმპიადაზე ოკეანისგაღმელთა სპორტულ ღირსებას იცავდა, იყო მწვრთნელი სხვადასხვა სახეობაში, უზრუნველი ცხოვრებაც შეიქმნა, მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა ისევ საკუთარ მამულში დააბრუნა...**

**ვახტანგ იაგორაშვილზე მოგახსენებთ, სახელოვან ქართველ ხუთჭიდელზე, რომელიც 1964 წლის 5 აპრილს თბილისში დაიბადა (დაგვიანებით ვულოცავთ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს — ვ. დ.). აქ აიდგა ფეხი. მამამისი ფეხბურთელი იყო, დედა — ველომრბოლი, ამიტომ ისურვეს, შვილისთვის გზა სპორტით გაეკვალათ. 6 წლისამ ცურვაში დაიწყო ვარჯიში. 9 წლის შემდეგ ხუთჭიდში გადაინაცვლა. 20 წლისა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა.**

**შედეგები: 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ხუთჭიდში. 1986 წლის კეთილი ნების თამაშების გამარჯვებული პირადსა და გუნდურში, 1990 წლის ამავე შეჯიბრების ვერცხლის მედალოსანი პირადში. ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1987 წელს — გუნდურში, 1989 წელს — პირადში, გუნდურსა და ესტაფეტაში). ბრინჯაოს პრიზიორი პირადში (1987), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გუნდურში (1990, 1997, 2000 წ.წ.), ვერცხლის მედალოსანი პირადსა (1998) და გუნდურში (1989, 2004), ბრინჯაოს პრიზიორი გუნდურ ესტაფეტაში (1989, 1999). პანამერიკული თამაშების გამარჯვებული (2003), საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი (1986, 1988, 1991), სამგზის ბრინჯაოს მედალოსანი (1985, 1987, 1989), აშშ-ს სამგზის ჩემპიონი (1997, 1999, 2003). მსოფლიოს თასის ათგზის მფლობელი. 1998 წელს შვეიცარიაში ჩემპიონთა ჩემპიონი გახდა.**

— 9 წელიწადი ვიცურავე, მაგრამ განსაკუთრებული შედეგები არ მქონია, — **გაიხსენა ყრმობის წლები ვახტანგ იაგორაშვილმა.** — ერთ დღეს ვანო ლუცენკო მოვიდა „შრომითი რეზერვების“ აუზზე და ბიჭებს შემოგვთავაზა, ხუთჭიდში გვევარჯიშა. აგვიხსნა, რომ პისტოლეტიდან სროლაში შევეჯიბრებოდით ერთმანეთს, ცხენებით ვიჯირითებდით და ვიფარიკავებდით. 15 წლის ბიჭებს რომანტიკისთვის მეტი რა გვინდოდა — უცებ მუშკეტერებად წარმოვიდგინეთ თავი. მეორე დღესვე ვაკის ფარიკაობის დარბაზს მივაშურეთ. მაშინვე ფორმები ჩაგვაცვეს და საქმეს შევუდექით. თავიდან ჰო, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ეს არც ისე იოლი და რომანტიკული აღმოჩნდა — დიდი შრომა სჭირდებოდა. ჩემმა მეგობრებმა რამდენიმე დღეში ხუთჭიდს თავი დაანებეს და ისევ ცურვას დაუბრუნდნენ. მე კი შემოვრჩი, უბრალოდ, მწვრთნელის და საკუთარი თავის შემრცხვა.

**— როდის იგრძენით, რომ თანამედროვე ხუთჭიდი თქვენი სახეობა იყო?**

— მანამდე კარგა დრო დამჭირდა. ყველაზე მეტად ფარიკაობა მომეწონა და ეს სიყვარული დღემდე შემომრჩა. 15 წლისამ პირველად შევდგი უზანგში ფეხი. ბევრი სიმწარეც ვნახე, სანამ მხედრობას შევეჩვეოდი, რამდენჯერმე ცხენიდან ჩამოვვარდი, მაგრამ არ შემშინებია. მეტი ჟინი მიპყრობდა, როგორ ვერ უნდა დავიმორჩილო-მეთქი. არადა, ორ ოლიმპიადაზე სწორედ ცხენმა მიმტყუნა. ისე, ცხენოსნობაში ბევრი ტურნირი მაქვს მოგებული.

**— ოლიმპიადა ახსენეთ. სეულის თამაშებზე რას იტყვით?**

— ოლიმპიადამდე უკვე მქონდა კარგი შედეგები — ახალგაზრდებში ორჯერ მსოფლიოს პირველობა მოვიგე. 1987 წელს გუნდურში ევროპის ჩემპიონი გავხდი, პირადში კი მე-3 ადგილზე გავედი, არადა, ოთხი სახეობის შემდეგ ვლიდერობდი, მაგრამ წინაღობათა გადალახვისას მე და ჩემმა მერანმა ორ ბარიერზე წავიფორხილეთ, რაც საკმარისი გახდა, ორ მეტოქეს გაესწრო. ორჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოვიპოვე. 1988 წელს სეულში ჩემი გამგზავრება სათუო არ ყოფილა, რადგან იმ წელიწადს სან ანტონიოს და გერმანიის მსოფლიოს თასები მოვიგე, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებასა და საკავშირო პირველობაზეც გავიმარჯვე. ამიტომაც 1988 წლის თამაშებზე ფავორიტად მიმიჩნევდნენ. სეულში ხუთჭიდელთა ასპარეზობა ცხენოსნობით დაიწყო. 68 კაცი ჩაება მედლებისთვის ბრძოლაში. ორ ჯგუფად ვიყავით დაყოფილი და თითოეულ ცხენს ორ-ორჯერ უწევდა სტარტზე დადგომა. პირველ რაუნდში ორმა მხედარმა დისტანცია ვერ ჩაამთავრა, რადგან ცხენებმა დაალალატეს. მეორე ნაკადისას, რომელშიც მე შევდიოდი, იმ „უიღბლო“ ორი ცხენიდან ერთ-ერთი მე მერგო. მოთელვისას ურჩ მერანს ორსამჯერ მათრახიც გადავუჭირე, რისთვისაც მსაჯებმა შენიშვნა მომცეს. ჩემი ცდა მაინც ამაო გამოდგა. რადგან ოთხი ბარიერი ჩამოვაგდეთ, პირველი სახეობის შემდეგ 24-ე ადგილზე ვიყავი. კონკურენტებმა 100-120 ქულით გამისწრეს. მეორე ასპარეზობა ფარიკაობაში გაიმართა. არაობიექტური მსაჯობის მიუხედავად, მე-6 ადგილი მერგო და ორი სახეობის შემდეგ ათეულში შევედი. მერე იყო ცურვა, სადაც ჩემი საუკეთესო შედეგი ვაჩვენე, თუმცა მცირედით ფრანგმა კრისტოფ რურმა გამისწრო. საერთო ჯამში სროლის შემდეგ პირველ ადგილზე გადავინაცვლე. უნგრელი იანოშ მარტინეკი 12 ქულით, ხოლო იტალიელი კარლო მასულო 26 ქულით ჩამომრჩებოდნენ. ორივე ჩემზე ძლიერი იყო რბენაში და ოლიმპიადის ოქრო-ვერცხლიც სწორედ მათ ერგოთ, მე კი მესამე ადგილზე გავედი. რომ არა ცხენოსნობაში დიდი ჩამორჩენა, ჩემპიონობას მოვიპოვებდი.

**— სეულში საბჭოთა კავშირის, 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადაზე კი საქართველოს სახელით იასპარეზეთ...**

— საბჭოთა კავშირის სახელით ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობა ბევრჯერ მაქვს მოპოვებული. როცა საბჭოეთი დაიშალა და ჩვენთან სპორტისთვის არავის ეცალა, 1991 წელს ამერიკაში წავედი. ტეხასის შტატის ქალაქ ოსტინში ვცხოვრობდი. იქვე ვმუშაობდი მასწავლებლად, ამიტომ, ფაქტობრივად, ოთხი წელიწადი არ მივარჯიშია. 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადაზე საქართველომ დამოუკიდებელი გუნდით მონაწილეობის უფლება რომ მიიღო, სერიოზული



მომზადება გადავწყვიტე, მაგრამ, თავი რომ მერჩინა, სამ ადგილას ვმუშაობდი და თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩებოდა. ზოგჯერ ღამის 11 საათზეც კი მირბენია. პისტოლეტი ნაცნობმა ამერიკელმა ხუთჭიდელმა მათხოვა. სერიოზული ვარჯიში 1996 წლის იანვრიდან დავიწყე. თბილისში ბატონ ჯანო ბაგრატიონს შევეხმიანე, რომელსაც სპორტის მესვეურთაგან ყველაზე ახლოს ვიცნობდი. მას ვუთხარი, რომ საქართველოს სახელით მინდოდა ოლიმპიადაზე გამოსვლა. სალიცენზიო ტურნირისთვის უკეთ მოსამზადებლად სწორედ მან აღმომიჩინა დიდი დახმარება. თებერვლის მიწურულს სან ანტონიოს მსოფლიოს თასზე პირველი ადგილი დავიკავე. სხვათა შორის, ისეთ ცნობილ სპორტსმენს გავუსწარი, როგორიცაა რუსი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი დმიტრი სვატკოვსკი, რომელმაც მერე სიდნეიში ოლიმპიური ჩემპიონობაც მოიპოვა. 10 დღის შემდეგ მექსიკაში საკვალიფიკაციო საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. მეოთხე ადგილი დავიკავე და ატლანტაში გამოსვლის უფლება მოვიპოვე.

**— როგორც ვიცი, 1996 წლის თამაშებზე სამი სახეობის შემდეგ მესამე ადგილზე იყავით...**

— დიახ, ცხენოსნობა და რბენა იყო დარჩენილი. კენჭისყრით „ჩარლი“ მერგო — ისევ თეთრი ცხენი, როგორც სეულში. ცუდად მენიშნა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, ასეთი კატასტროფული შედეგი თუ მექნებოდა — შვიდი ბარიერი ჩამოვაგდეთ და ჩემი ოცნებაც ჩაიფუშა, საბოლოოდ კი მე-19 ადგილი დავიკავე. ამ წარუმატებლობის მიუხედავად, მაინც ამაყი ვარ, რადგან ერთ ოლიმპიადაზე სამშობლოს სახელით ვიასპარეზე.

**— და მერე მოქალაქეობა შეიცვალეთ...**

— სხვაგვარად ამერიკაში დარჩენა და იქ მუშაობა წარმოუდგენელი იყო. რადგან ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ ბევრმა გამიცნო,. 1997 წლისთვის „მწვანე ბარათი“ მომცეს და მეც რამდენიმე მნიშვნელოვან შეჯიბრებაში ამერიკის სახელით ვიასპარეზე: ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი გუნდურში. რადგანაც ამერიკის მოქალაქეობა ჯერ არ მქონდა, 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადაზე ქალების მწვრთნელად გავემგზავრე. იმ წელიწადს თანამედროვე ხუთჭიდი მანდილოსნებისთვის პირველად შეიტანეს თამაშების პროგრამაში. ჩემი შეგირდი ემილი დერიელი ვერცხლის პრიზიორი გახდა, ხოლო ჩემი მეუღლე მერი ბეთ იაგორაშვილი მეოთხე იყო. მერის ამერიკის ჩემპიონობა ექვსჯერ აქვს მოგებული, ერთხელ პანამერიკული თამაშების გამარჯვებულია.

2002 წელს ამერიკის მოქალაქეობა მივიღე, მომდევნო წელს პანამერიკულ თამაშებზე წარმატებას მივაღწიე და 2004 წელს ამერიკის სახელით ათენის ოლიმპიურ თამაშებშიც გამოვედი. ტრავმების მიუხედავად, მე-9 ადგილი დავიკავე.

ექვსი წელიწადი ბოსტონში ვცხოვრობდი და ფარიკაობის კლუბი გავხსენი. ახალგაზრდებსა და კადეტებში ამერიკის რამდენიმე ჩემპიონი და პრიზიორი გავზარდე. 2012 წელს პენსილვანიის შტატის



სტეიტკოლეჯის უმაღლესი სასწავლებლიდან მიწვევა მივიღე ფარიკაობის მწვრთნელად მუშაობაზე. პრესტიჟული უნივერსიტეტია და სიამოვნებით დავთანხმდი. მით უმეტეს, რომ იქ თბილისელი გია აბაშიძეც მუშაობს. თანაც ჩემი ვაჟი — დანიელი ამ სასწავლებელში ჩაირიცხა და ჩემი იქ გადასვლით სწავლის ქირა საგრძნობლად შეუმცირდა. ისე, სტუდენტები წელიწადში 40.000 დოლარს იხდიან.

**— სამშობლოსგან მოწყვეტით ცხოვრება არ გაგიჭირდათ?**

— უცხო გარემოსთან ადაპტაციას სპორტმა მიმაჩვია. თავიდან ყურადღებას არაფერს ვაქცევდი. მთავარი იყო, იმდენი ხელფასი მქონოდა, რომ თბილისში მცხოვრებ მშობლებს დავხმარებოდი. მერე გაჩნდა ნაცნობების, მეგობრების დიდი წრე, დაფასებული სამსახური, იქაური ქალი შევირთე ცოლად, გაჩნდა ახალი კერა და... მართალია, მშობლებთან, ახლობლებთან განშორება ხშირად გახსენდება კაცს, მაგრამ ახალ ბუდეში თავს მაინც კარგად გრძნობ... თუმცა ბოლომდე ბედნიერი, ასე მგონია, ვერსად იქნები. ამერიკის მოქალაქეობის მიღების შემდეგ თბილისშიც ხშირად ჩამოვდიოდი. შარშანწინ დედა გარდამეცვალა, ახლა აქ მამაჩემი ცხოვრობს, მყავს მეგობრები. გადავწყვიტე და წლეულს ივლისს სამშობლოში დავბრუნდი.

**— რას საქმიანობთ?**

— თანამედროვე ხუთჭიდში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვარ. მართალია, მოვარჯიშეთა რაოდენობა ცოტაა, მაგრამ მჯერა, რომ სულ მალე მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. რამდენიმე აუზზე უკვე გავხსენით ბიატლისა (ცურვას+რბენა) და ტრიატლის (ცურვას+რბენა+სროლა) კლუბები. უამრავი ახალგაზრდა მოვიზიდეთ. ოქტომბრის მიწურულს ბიატლსა და ტრიატლში ჩვენმა გუნდმა გვატემალაში ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე იასპარეზა. აკაკი ვაშაკიძემ ტრიატლში პირადი პირველობის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ხოლო დათო მაგრაქველიძესა და გაგა ხიჯაკაძესთან ერთად გუნდური ჩემპიონობა მოიპოვა, ბიატლში ბიჭებმა მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო ვაშაკიძე და თეონა ბოსტაშვილი მიქსტში მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის — სლავა მალიშევის ძალისხმევით გაისად სექტემბერში თბილისი ბიატლსა და ტრიატლში მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისათვის აქედანვე ვემზადებით: უფროსებისა და სხვადასხვა ასაკის გუნდებისთვის კანდიდატებს ვარჩევთ, რომ მეტოქეებს ღირსეული კონკურენცია გავუწიოთ.

**— რიოს ოლიმპიადაზეც ხომ არ ფიქრობთ?**

— ჯერ მხოლოდ ახალგაზრდებს ვიკრებთ და ოლიმპიადაზე ფიქრი ნაადრევია, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ რიოში ერთი წარმომადგენელი გვყავდეს ხუთჭიდში — 2014 წლიდან საქართველოს სახელით გამოდის მოსკოველი სპორტსმენი ვარვარა ივანოვა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე 21-ე იყო, ხოლო მსოფლიოს თასებზე ფინალებში იასპარეზა. მას რიოს ოლიმპიადის საგზურის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს.

**ვაჟა დანელია**

# ბატონ ვახტანგ დავითაიას 80



ბატონო ვახტანგ!

რამდენიმე ათეული წელია, რომ ვართ თქვენი პროფესიული შემოქმედებისა და მიღწევების მოწმე. როგორც ცნობილია, ქართველი მოქანდაკეებისა და არქიტექტორების ურთიერთთანამშრომლობა იძლევა საერთაშორისო დონის ნიმუშებს. სწორედ ეს იწვევდა ჩვენში სიამაყეს.

განსაკუთრებით მოგვეცა საშუალება, „კოლხი ქალის“ ძეგლის სიმბოლიკა ჩაგვექსოვა ჩვენს სულიერ სამყაროში, თუნდაც სადღეგრძელოებში, უცხოეთის დელეგაციების მიღების დროს ან უცხოეთში ყოფნისას მაღალი დონის ფორუმებზე წელგამართული წარვდგენილიყავით საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელთა წინაშე იმ მოტივაციით, რომ ჩვენ, კოლხები ვართ და ზურგს გვიმაგრებს კოლხი ქალის ზნეობრივი, ეროვნული, აღმზრდელი ქალის — დედის სახე. ამ გრძნობების შესაძლებლობას ქართველი მოქანდაკეებისა და არქიტექტორების, კერძოდ, თქვენი ნაშრომებიც გვაძლევდა.

დიდი პატივისცემით გილოცავთ მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს და გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, კიდევ მრავალჯერ გაგემდიდრებინოთ ქართული კულტურის ეროვნული საგანძური.

„ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების“ გამგეობა.
22 ნოემბერი, 2014 წელი.

# დიმიტრი ყიფიანი 200

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „მამულიშვილთა გახსენების“ პრეზიდენტმა ბონდო კობაძემ, რომელიც არის დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი, თავისი დიდი შრომისმოყვარეობით, პატრიოტული სულით და კეთილსინდისიერებით გამოსცა დიდებული წიგნი „წმინდა დიმიტრი (ყიფიანი) სამშობლოსთვის წამებული“, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით: **ეთერ, ენეფე, ესმა, ნინო, ავთანდილ, სოსო, ნატალია, მერაბ, ვაჟა, ვაჟა, არჩილ, ნათია ყიფიანებს**.

## თეატრის ბედი არ ადარდებთ

### გაყიდული შენობა

**ნაციონალების ხელისუფლებას კულტურული დაწესებულებების ბედი დიდად არ ადარდებდა. თეატრებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების მხოლოდ გარეგნულ იერზე, საკუთარ პიარზე ზრუნავდა. არავის აინტერესებდა შენობების შიგნით მომუშავეთა სოციალური-საყოფაცხოვრებო-ეკონომიური და თვით სამუშაო პირობებიც კი.**

პანტომიმის თეატრი, რუსთაველის 37-ში, ე.წ. მელიქ აზარიანცის შენობაშია. ერთი შეხედვით შენობის ფასადს არა უშავს, მაგრამ შიგნით საშინელება ხდება. „აზარიანცის სახლი“ ინგრევა. მას კაპიტალური რემონტი სჭირდება. დროდადრო გაჩენილ პატარა ხარვეზებს მსახიობები საკუთარი სახსრებით არემონტებენ. სარეპეტიციო დარბაზში თქეშით ჩამოდის წყალი, მსახიობებს და სტუდენტებს ვარჯიშის არავითარი პირობები არ გააჩნიათ — აცხადებს თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი დაჩი მუჯირი. მისი განმარტებით, ნაციონალების ზეობის დასასრულისკენ, წელიწადზე მეტი ხნის წინათ, მერიამ დედაენის ბაღში 919 კვ. მ. მიწის ფართი გამოჰყო პანტომიმის თეატრის ასაშენებლად, მაგრამ არავის უფიქრია, რომ შენობის აშენებისათვის საჭირო თანხები არ იყო გამოყოფილი. წინასაარჩევნო პერიოდში ნარმანია თეატრს პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა. დაპირება ყველა თავისი კომპონენტით დღესაც ძალაშია, თუმცა, ამას იქით საქმე არ მიდის, — სინანულით ამბობს პანტომიმისი თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.თუმცა, შემოქმედებით კოლექტივს საკითხის მოგვარების კონკრეტულ ვადებს ვერც დედაქალაქის მერიის სოციალური და კულტურის სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი უსახელებს. იგი ამბობს, ქალაქის ბიუჯეტი რომ დამტკიცდება, ყველა საკითხს ამის შემდეგ გაეცემა ამომწურავი პასუხები.

### რეპეტიციები წვიმის წვეთების აკომპანემენტით



### თოჯინები მაინც იცინიან

**პანტომიმის მსახიობებზე უარეს დღეში არიან მათი კოლეგები თოჯინების თეატრიდან. უგულავას თბილისურმა გუნდმა მათ შენობა უკეთესის აშენების დაპირებით დაუნგრია. ამ პროცესს 2 მლნ. ლარზე მეტი დაახარჯეს (ამ რაოდენობის თანხა მრავალსართულიანი კაპიტალური შენობის დანგრევისთვისაც იქნებოდა საკმარისი — ზ.ბ). გამოიყო ასაშენებელი თანხაც, მაგრამ „თოჯინები“ უკვე მერამდენე წელია, სპექტაკლებსა და რეპეტიციებს კულტურულ ცენტრ „მუზა“-სთან ნაქირავებ ფართში მართავს, რომლის ღირებულებასაც თავად იხდის. სახელმწიფო დახმარება ნულია, აცხადებს თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ელენე მაცხონაშვილი. იგი ამბობს, რომ ფინანსური შესაძლებლობების გამო ფართი ძალიან პატარაა. სპეციფიკიდან გამომდინარე, თეატრს სჭირდება სპეციალური საცავები, ტექნიკა და ინვენტარის შესანახი ოთახები. მერიაში წინა ხელისუფლების დროსაც და ახლაც დაპირებები უხვადაა, მაგრამ საქმე წინ არ მიდის. მერიის წარმომადგენელიც არ უარყოფს, რომ შენობა ასაშენებელია, მაგრამ არ კონკრეტდება ვადები.**

მერიის ჩინოვნიკი ამბობს, რომ თვით თეატრის შენობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა წინა ხელისუფლების მხრიდან დაშვებული მთელი რიგი შეგნებულად დაშვებული დარღვევები, რომლებიც სამართალდამცავებმა აუცილებლად უნდა შეისწავლონ, მაგრამ არა მათი დღეს მიღებული „ოპერატიულობით“. საქმე ის არის, რომ თეატრის პრობლემა თავისი დანგრევა-აშენებით გაგულავებული უგულავას დავალებით მის წინასაარჩევნო ყულაბად ქცეულ „თბილისი — განვითარების ფონდს“ უნდა უზრუნველეყო. ამისათვის ქალაქის ბიუჯეტიდან არანორმალურად მაღალი თანხები გამოიყო სამუშაოთა საწარმოებლად.

„ფონდიც“ შეუდგა მუშაობას და თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად თანამშრომლობა დაიწყო 2 ფირმასთან — „ეი-სი-სი-სთან“ და „არტ ექსთან“. შენობა დაინგრა, მაგრამ ახლის შენება არც კი დაუწყიათ, — აცხადებს „თბილისი — განვითარების ფონდის“ ამჟამინდელი ხელმძღვანელი თემურ ხომერიკი, მისი ინფორმაციით, როდესაც შემოქმედებითმა კოლექტივმა დახმარებისთვის მიმართა, ფონდმა გამოითხოვა შენობის ირგვლივ არსებული ყველა დოკუმენტაცია. გაირკვა, რომ „განვითარების ცენტრს“ თბილისის თოჯინების თეატრის შენობის ფართი უკვე გასხვისებული ჰქონდა კოლექტივის უჩუმრად (რაც კანონის უხეში დარღვევაა — **რედ.**). იყო დადებული პირობა, რომ ინვესტორი თეატრს ალტერნატიულ შენობას აუშენებდა (პირობა კი ქაღალდზე დარჩა — **ზ.ბ**) აცხადებს ფონდის ამჟამინდელი ხელმძღვანელი. მისი განმარტებით, ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიების დასრულებამდე განვითარების ფონდი სამართალდამცავებთან ერთად ეძებს ჩიხიდან გამომავალ სამართლებრივ გზებს — თუ როგორ შეიძლება 2.5, მლნ-ის დაბრუნება, რომელიც უგულავას „კანტორამ“ თითქოს სამუშაოთა მწარმოებელ კომპანია „ჯი-სი-სი“-ს ფაქტობრივად აჩუქა. დღეს საქმეში უამრავი სამართლებრივი კაზუსია და მათ მოგვარებას ბიუჯეტის დამტკიცების პარალელურად 6 თვე მაინც დასჭირდება, — ვარაუდობს ხომერიკი.

ამ დროს კი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ელენე მაცხონაშვილი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამდენი ხელისშემშლელი ფაქტორისა, ნაქირავებ დარბაზში მაყურებელთა რაოდენობა სპექტაკლიდან სპექტაკლამდე მატულობს, ყოველთვე პრემიერებია. შეუძლებელ პირობებში ვმუშაობთ, რომ ბავშვებს თბილისში ერთადერთი თოჯინების თეატრი შევუნარჩუნოთ. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენთან თოჯინები ( იქნებ მწარე ირონიითაც — **ზ.ბ.**) მაინც იცინიან ბავშვებთან ერთად, — ამბობს თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

როდემდე ეყოფათ მსახიობებს შემოქმედებითი ენთუზიაზმი, უცნობია როგორც სპეციალისტებისთვის ასევე თეატრმცოდნეებისთვისაც.

**ზაზა ბილიხოძე**

## გამოფენა

# „მადის მომგვრელი“ სანახაობა



**სხვადასხვა დანიშნულების სოფლის მეურნეობის მანქანა-დანადგარები, მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესლი და ხეხილის ნერგი, ცხოველთა საკვები და მისი დამზადების ტექნოლოგიები, საჯიშე მეცხოველეობა და მეფრინველეობა, საირიგაციო სისტემები, სასუქი და ქიმიკატები — ეს იმ პროდუქციის არასრული ჩამონათვალია, რომელიც მრავალპროფილიანი საგამოფენო ცენტრის ექსპო ჯორჯიას მე-11 პავილიონსა და მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოსა და უცხოურმა კომპანიებმა 19 ნოემბერს გახსნილ სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-14 საერთაშორისო გამოფენაზე გამოიტანეს.**

ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ მრავალი სხვა სახეობის მანქანა-დანადგარების გარდა, რომელთა ერთი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, პავილიონის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო გამოტანილი, ისრაელის, პოლონეთის, ლიტვის, ბულგარეთის, გერმანიის, თურქეთის, უკრაინისა და ჩინეთის, ასევე საქართველოს დაახლოებით ხუთმა ათეულმა აგროტექნიკურმა, სამელიორაციო, გადამამუშავებელმა და კვების მრეწველობის კომპანიებმა წარადგინეს. მეწარმეებმა პოტენციურ პარტნიორებსა და დაინტერესებულ მნახველებს ბავშვთა კვების, რძის, თევზისა და ხორცის პროდუქტები, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ხილი და ბოსტნეული, ასევე უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელები, საკვები დანამატები, მეფუტკრეობის პროდუქცია და კიდევ მრავალი სხვა საქონელი შესთავაზეს.

გამოფენის დამთვალიერებელთა განსაკუთრებული ინტერესი ხორცის, რძის, პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების ახალმა ტექნიკამ და ტექნოლოგიებმა გამოიწვიეს.

**ნინო ალექსანდრია**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

## დედაქალაქი

# ახალი სერვისი, მეტი კომფორტი

**სწრაფი გადახდის აპარატები ნამდვილად კარგი გამოგონებაა ჩვენ დროში, როცა ხალხის უმეტესი ნაწილი, ამ გაგანია უმუშევრობის პირობებშიც კი, გამუდმებით დროის დეფიციტს განიცდის, სულ „ცაიტნოტშია“.**

ბოლო დროს დედაქალაქში, ფაქტობრივად, ქუჩას ვერ ნახავთ, სადაც რომელიმე ბანკის სწრაფი გადახდის თუნდაც ერთი აპარატი მაინც არ იყოს დადგმული. იყო დრო, როცა რამდენიმე ბანკის აპარატები საკომისიო გადასახადს, იქნებოდა ეს მოხმარებული დენის, გაზის, წყლისა თუ სხვა, აბონენტებს საკომისიოს არ ახდევინებდნენ, მერე კი ამ პრაქტიკაზე ხელი აიღეს და ამჟამად უკლებლივ ყველა მათგანი ცოტ-ცოტას ყველაფერში „ახევს“ მომხმარებელს.



ახლა კი ერთ-ერთ მათგანში, „თიბისი ბანკის“ ახალ ლურჯ ბანკომატებში სიახლე გაჩნდა: სხვა, ძველ სერვისებთან ერთად, ქვეყნის ფარგლებში მატარებლით მგზავრობის ყველა მსურველს იქ ნებისმიერი მიმართულებით, მისთვის ხელსაყრელი დროისთვის ბილეთის შეძენა შეუძლია, თანაც ნებისმიერ თავისუფალ ადგილზე.

ახალი ბანკომატების კიდევ ერთი დადებითი მხარე ისაა, რომ მათი დიზაინის ავტორებმა მომხმარებლები „შეიცოდეს“ და თავად აპარატი სამი მხრიდან დახურულ ჯიხურში მოათავსეს, რომელიც ხშირად მზის გულზე დაყენებული აპარატზე ეკრანზე გამოსახულების გარჩევის შესაძლებლობას იძლევა.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი ბანკომატები ქალაქის სხვადასხვა უბანში კი არის დამონტაჟებული, მაგრამ ყველა მათგანი საერთო ქსელთან მიერთებული ჯერაც არ არის. ამის მიუხედავად, ქალაქის ცენტრში, ვერაზე, კოსტავას ქუჩაზე, ერთ-ერთ ასეთ ახალ ბანკომატს ვილაც ვიგინდარებმა... გვერდითი კედლები უკვე მოუნგრიეს.

უბრალო ცნობისმოყვარეობა არ გეგონოთ, ბატონებო, თუ ვიკითხავთ: ნეტავ ამ დროს მოტორიზებული თუ ფეხოსანი საპატრულო განწესები რას აკეთებდნენ — იქვე ვერის ბაღში გოგო-ბიჭებს კოცნაობას უშლიდნენ თუ ლუდის მსმელებს აჯარიმებდნენ უსაშველოდ?

**ოთარ მერიშვილი**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

სულიერება

## წმინდა დიდმოწამე გიორგის მადლი გვფარავდეს!



**23 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების დღეს.**

**წმინდა გიორგის უახლოეს ნათესავს, წმინდა მოციქულთა სწორ ნინოს დაუდგენია გიორგობის დღესასწაული.**

ცნობილია, რომ, როგორც ქართველთა განმანათლებელი ნინო, ასევე წმინდა გიორგი, არიან ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული მფარველნი. ისტორიიდან ცნობილია, რომ წმინდა გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში.

საქართველოში არსებული ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელზეა აგებული. ერთ-ერთი მათგანია სუჯუნის (აბაშა) სამნავიანი გუმბათოვანი ტაძარი. ტაძარს სულ რაღაც შვიდიოდე მეტრით დაშორებული ღელე ჩამოუდის. ღელეზე ქვის ხიდია და ამ ხიდზე თითქმის ტაძრის სიმაღლის სამრეკლო დგას. წყაროებიდან ირკვევა, რომ ტაძარი და სამრეკლო აშენებულია 1845 წელს დადიანების მმართველობის ხანაში. სუჯუნის წმინდა გიორგის ხატი ითვლებოდა „შემსმენელ" ხატად... ამბობენ — რასაც შესთხოვ, შეისმენსო.

აღსანიშნავია, რომ ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა მეუფე პეტრემ სუჯუნის ტაძართან დედათა მონასტერი დააარსა.

სუჯუნელი ხალხი ბედნიერია იმითაც, რომ წმინდანმა — დიდმოწამე გიორგიმ ინება თავისი ნაწილების დავანება სწორედ აქ, ამ დალოცვილ კუთხეში...

**გიული ლიპარტია**

# სკანვორდი



მკურნალი წინდები

## ფეხების ტკივილი გაწუხებთ?

**თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT"-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.**

**ყველა ტიპის დიაბეტის, გუ-**



**ლის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!**

**წინდები ჩვეულებრივად ნელთბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.**

**შესაძენად დარეკეთ 299-62-77 (გ. ახვლედიანის 19), იკითხეთ კუკური.**

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

## ცინცხალი ანეკდოტები

**— კაცო, დილით წნორში ვიყავი წასასვლელი და პირიდან სუნი რო არ ამომსვლოდა, ჭაჭის ოყნა გავიკეთეი! — შეწუხებული ეუბნება მიხო მიტუას.**
**— მერე და როგორია, ჰა?**
**— რაღა როგორია, ჯო, დილიდან ფეხები მიკანკალებს და უკანალი მისკდება, ინგრე მტკივა!**

* * *

**სამშობიარო სახლის ფანჯრებთან:**
**— მაშო! აი, მაშოუ!**
**— რა იყო, მიხო, რა გაყვირებს?!**
**— უკვე იმშობიარე-ე?**
**— მა არ ვიმშობიარე, აქა ტყულა ხო არ მამიყვანეს, ჯო!**
**— რაო, რა ამბავია?**
**— სამი გავაჩინე, განა!**
**— ჩემებიც არი-ი?**

* * *

**— რა იყო, მიტო, რათა ხარ ინგრე მოწყენილი?**
**— იმათა ვარ ინგრე, რო ჩემმა სიდედრმა სიგარეტის წევასა თავი დაანება.**
**— ვითომ რათაო?**
**— რათაო და იმათაო, რომ სიგარეტის ფულს აღარ ვაძლევ.**
**— რათ არ აძლევ, გენანება?**
**— მენანება კი არა, ვხედავ, რო მაგითანა ჯორცხენასა ერთი წვეთი ნიკოტინი კი არა, ერთი ცენტნერიც ვერ მოიკლამს!**



* * *

**გურული ეუბნება ტაქსის მძღოლს:**
**— აგერ, ბიძიკო, შენ 50 ლარი, აგერ ჩემი სიდედრი. თუ ჩემი ძმა ხარ, ვაგზალში ისთე მიიყვანე, მატარებელზე არ დააგვიანდეს, არ დევიღუპო კაცი!**
**— ნუ გეშინია ძამა, საკუთარი სიდედრივით მივაბრძანებ!**

* * *

**— ალო, სასწრაფოა, დაგენაცვლე?**
**— დიახ, ბატონო, სასწრაფოა. რა მოხდა, რაშია საქმე?**
**— ისაკა ვარ მე, გადმომირეკე ერთი, დაგენაცვლე, მობილურზე სულ აღარ დამრჩა თანხა!**

* * *

**მიხო ზის ალაზნის პირას, ხელში ფონენდოსკოპი უჭირავს.**
**— რასაი შვრები, ჯო? — ეკითხება შაქრო.**
**— ვთევზაობ.**
**— მერე, შე ვირო შენა, ე ფონენდოსკოპი ხო ექიმისაა.**
**— ექიმისა? მაშ კარგი, ექიმი ვარ, რა გაწუხებთ, რას უჩივით?**
**— აი, ისა... ყელი მტკივა, მიშველი, ექიმო?**
**— ვერა, ვერ გიშველი.**
**— რათა, კაცო?**
**— ვერაი ხედამ, ვთევზაობ!**

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24